ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ივლისი **პარასკევი** 2011

№ 152 (13 449) ფასი 80 თეთრი

უესპანელებო მოლდოველებთან 2:0

2

ერთი იქა...

მეტალურგმა ერევნიდან 0:) წამოიღო

3

საქართველო საახალზელანდიოდ

რიჩი დიქსონმა შემადგენლობა დაასახელა

13

მაგარი მაშა

ქალთა ფინალი: შარაპოვა-კვიტოვა

16

კუპერი ესპანეთში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი, არგენტინელი **ექტორ რაულ კუპერი** ესპანურ პრიმერადივიზიონს დაუბრუნდა - დღეიდან ის სანტანდერის „რასინგის“ მწვრთნელია. 55 წლის სპეციალისტი ჩვენი ეროვნული გუნდის შემდეგ ბერძნულ „არისს“ ხელმძღვანელობდა, საიდანაც თავი შეახსენა ესპანელებს - ევროპის ლიგიდან ტიტულის მფლობელი მადრიდის „ატლეტიკო“ გამოაგდო. კუპერმა კანტაბრიულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ასისტენტები **ხოსე კარლოს ფანდაგუში** და **ანხელ პუებლა** იქნებიან. კუპერი „არისიდან“ იანვარში წავიდა და მას მერე უმუშევარი იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კოპა ამერიკა ინყება

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ისტორია, სტატისტიკა, გუნდები

8-9

ჭართული ფეხბურთი

გუშინ მთავარი შედეგი იყო

30.06. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
10 000 მაყურებელი

დინამო	2
მილსამი	0

1:0 კვეკვესკირი (4), 2:0 ლექვთაძე (71, კვეკვესკირის პასით)

დინამო	მილსამი
4-3-3	4-3-2-1
ლორია	მორარუ
ოდიკაძე	გირლა
თომაშვილი	სტადიჩუკი
კაკუბავა	სოსნოვსკი
რეხვიაშვილი	მენდიზოვი
კვეკვესკირი	ბეზიმოვი
ჯილაური	ადემარი
კოშკაძე	ფურდუი
ლექვთაძე	გრიგორუცა
ფანცხავა	იონესკუ
რობერტინიო	ბოგიუ
მწვრთნელი	მწვრთნელი
ა. გარსია	შ. სტოიკა

დინამო

64. რობერტინიო – **თექთურმანიძე**
72. ფანცხავა – **ახალაია**
85. კოშკაძე – **ბერაია**

სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, ჰომოლა, ფირცხალავა

მილსამი

68. გრიგორუცა – **ოკინკა**
70. ბეზიმოვი – **ტრაორე**
84. გირლა – **რომანი**

სათადარიგოები: ნეგაი, კუკოვეი, გოლბანი, ა. სტოიკა

გაფრთხილება: თომაშვილი (16), სოსნოვსკი (39), რობერტინიო (43), ოკინკა (75), იონესკუ (89).

არბიტრი: ნ. დაბანოვიჩი (ჩერნოგორია)

ჯილაურის (მარჯვნივ კიდეში) დარტყმა მოლდოველთა კარს მცირედით ასცდა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

წამიც და, ნიკა კვეკვესკირი (მარცხნივ) ანგარიშს გახსნის — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სახიფათო თამაში — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ცელოფნის პარკინგი მისახედია:

ამდენი ჯილოვატი ნაგავი ნამეტანია!

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ნამდვილი საფეხბურთო ატმოსფერო იყო. განახლებული "დინამოს" სანახავად დაახლოებით 10 ათასი ადამიანი მოვიდა და უპირველესად ფანკლუბის დამსახურებით **ალექს გარსიას** გუნდს ენერგიული ქომაგობა არ მოჰკლებია.

"მილსამისთან" მატჩში "დინამო" ფავორიტად მიიჩნეოდა და საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ლოგიკურ გამარჯვებასაც მიაღწია, თუმცა სიხარულთან ერთად ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვიტოვა, რაც ზუსტად ისევე იყო სავარაუდო, როგორც მატჩის შედეგი.

კარგია, რომ ევროპის ლიგის საწყის ორ ეტაპზე წილისყრამ, მეტი რომ არ ვთქვათ, არცთუ ძლიერი კლუბები გვარგუნა მეტოქეებად და სანამ მესამე ეტაპამდე მივიდოდეთ, "დინამოს" გასაძლიერებლად დრო და რესურსი ნამდვილად არსებობს.

როცა გუნდი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებს, შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისგან ყოველთვის თავი უნდა შეიკავო. რა გასაკვირია, რომ "დინამოს" გარსიას ხელი ჯერ მაინცდამაინც არ ეტყობა, ყველაზე მეტად კი თვალშისაცემი ისაა, რომ გუნდი ნინა ხაზში მოიკოჭლებს. სწორედ ამიტომ დაიმატა გარსიამ სამი თანამემამულე და ვნახოთ, მეორე რაუნდში როგორი სახე ექნება ესპანელებით გაძლიერებულ "დინამოს".

ყველაფრის მიუხედავად, გარსიას გუნდმა გუშინ დამსახურებულად გაიმარჯვა, კონტრშეტევებზე მოთამაშე მეტოქე კი დაბალმა საშემსრულებლო ოსტატობამ დააღალატა და ორივე მწვავე მომენტი ქარს გაატანა.

მატჩის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით, სტადიონზე მისულმა და ტელეეკრანებთან მსხდომმა გულშემატკივარმა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა და ამიტომაც ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდებს გავიხსენებთ.

"მილსამის" სამწვრთნელო შტაბის გეგმა, რომელიც უთუოდ გოლის არგაშვებაზე იყო გათვლილი, დებიუტშივე ჩაიშალა – "დინამოს" კუთხურს მოლდოველთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, რითაც მასპინძელთა შორის ერთ-ერთმა გამორჩეულმა, **ნიკა კვეკვესკირმა** ისარგებლა და თავისიანები დაანინაურა.

"დინამომ" შეტევები განაგრძო და აქტიურმა მარცხენაფლანგელმა რობერტინიომ ეფექტური დარტყმა ოდნავ ააცილა. მე-16 წუთზე კი, შეიძლება ითქვას, გადავრჩით: **ბოგიუ გულვერდ თომაშვილს** გასცდა და "დინამოს" მცველი იძულებული გახდა, მეტოქის ფორვარდი აკრძალული ხერხით შეეჩერებინა. ბოგიუ წაბორძიკდა, თორემ წაქცევას აშკარად არ აპირებდა, რადგან **გიორგი ლორიასთან** პირისპირ გადიოდა. ბოლო იმედის ჯარიმას ჰგავდა, მაგრამ არბიტრმა თომაშვილს ყვითელი ბარათი აკმარა.

პირველი ტაიმის ბოლოს კი ჯერ **ადემარმა** ჩააფლავა არაზუსტი პასით "მილსამის" სახიფათო კონტრიერიში, შესვენებამდე ერთი წუთით ადრე კი "დინამოს" კაპიტნის, **ალექსანდრე კოშკაძის** დარტყმა გამოდგა ოდნავ არაზუსტი.

მეორე ტაიმში "დინამოს" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და კოშკაძემ თანაგუნდელებს ორი ნაღდი საგოლე შანსი შეუქმნა – ჯერ რობერტინიოს დაასწრო მეკარემ, მერე კი **ჯილაურის** ძლიერი დარტყმა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

გარსიას გუნდი ერთბურთიან სხვაობაზე მეტს იმსახურებდა და მნიშვნელოვანი გოლიც ვიხილეთ. კვეკვესკირმა **ლექვთაძე** მოძებნა, რომლის დარტყმულსაც **მორარუ** ვერ გაუმკლავდა – 2:0

დარჩენილ დროში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა და "დინამომ" ორჰეიში გამგზავრებამდე საკმაო უპირატესობა დაიბევა.

ასეთი გამოდგა გუშინდელი საღამო, მოლდოველებმა გაძლიერების გზაზე დამდგარ "დინამოს" დიდი ვერაფერი წინააღმდეგობა გაუწიეს და იმის მიუხედავად, რომ ნაადრევად ზეიმი არ ღირს, "მილსამი" ოდნავადაც არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც თუნდაც არასრულყოფილად მოთამაშე თბილისელებს ორბურთიან ჩამორჩენას აღმოუფხვრის.

მატჩის შემდეგ

სტოიკამ აღიარა, გარსია მეტს ელის

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ორივე მწვრთნელმა მატჩი ლაკონიურად შეაჯამა.

შტეფან სტოიკა: *რა მეთქმის, "დინამომ" გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა, სტადიონზე კი საოცარი ვითარება იყო. ევროტურნირებზე ერთი გოლიც ძალიან ბევრს წყვეტს და სამწუხაროა, რომ საკუთარი შანსები ვერ გამოვიყენეთ. არ მივიჩნევთ, რომ ევროპის ლიგას უკვე გამოვეთიშეთ, განმეორებით შეხვედრაშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ.*

ალექს გარსია: მატჩის დებიუტში ჩვენი ფეხბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ, რაც ტრიბუნებზე ხალხმრავლობითაც იყო გამოწვეული. პირველი ტაიმის ბოლოსკენ "დინამომ" საკუთარი თამაში იპოვა და უკეთ ათამაშდა.

- ფეხბურთელები უბურთოდ ნაკლებად მოძრაობდნენ.

- დაგეთანხმებით. "მილსამი" მჭიდროდ გვეთამაშებოდა და ბურთის დაჭერა იოლი არ იყო. "დინამოს" საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად გარკვეული დრო დასჭირდება.

- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ახალ „დინამოში" პირველი ოფიციალური მატჩიდან?

- ნორმალური, თუმცა, რასაკვირველია, სასწავლი და დასახვეწი ძალიან ბევრი რამ გვაქვს. კარგია, რომ შემდეგი ეტაპიდან განაცხადში ესპანელ ლეგიონერებს შევიყვანთ, ეს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

ლევან ჯანეზაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● დინამომ ახალწვეულები წარადგინა

სამი ესპანელი ორი წლით და დიდი

ESPERANZA იმედი

გუშინ დინამომ ესპანელები წარადგინა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გუშინ, დილით ეროვნულ სტადიონზე "დინამომ" ესპანელი ახალწვეულები წარადგინა. კლუბის პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** და გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა ჩისკოს, იაგუესა** და **კოტოს** "დინამოს" მაისურები გადასცეს, რასაც პრესკონფერენცია, კონტრაქტებზე ხელის მოწერა და "ბორის პაიჭაძის" გაზონზე ფოტოსესია მოჰყვა.

ესპანელებს "დინამომ" ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ჩისკო 28-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, იაგუე — 19-ით, კოტო კი — 21-ით. "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **ალექს გარსიას** იაგუე გუშინდელი მატჩის 18-კაციან განაცხადში ჰყავდა შეგულებული, მაგრამ მისი საევროთასო განაცხადში შეყვანა ვერ მოესწრო და ესპანური სამეული თბილისურ კლუბს ევროპის ლიგის მეორე ეტაპიდან დაეხმარება (იმედია, "დინამოს" ამ რაუნდშიც ვიხილავთ და ამაზე შორსაც წავა).

ფიფია: - დღევანდელი დღე "დინამოსთვის" და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მოხარულები ვართ, რომ ესპანელი ფეხბურთელებით გავძლიერდით და ვიმედოვნებთ, რომ ისინი ჩვენს იმედებს გაამართლებენ. გვჯერა, ალექს გარსიას ბარსელონური გამოცდილება ჩვენს კლუბს ძალიან წაადგება.

პოლოლიკაშვილი: - ვფიქრობ, ამ ტრანსფერებით დავამსხვრიეთ ის მითი, იითქოს საქართველოში სათამაშოდ ძლიერი ფეხბურთელი არ ჩამოვა. "დინამოში" სამი ძლიერი ესპანელი მოთამაშე გადმოვიდა, მაშინ, როცა რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა, რომელთაც თავიანთ კლუბებში საქმე არცთუ კარგად მისდით, ჩვენს წინადადებაზე უარი თქვა. ესპანელ ფეხბურთელებზე კი აქცენტი მწვრთნელის ფაქტორიდან გამომდინარე გავაკეთეთ და ამაში ჩემი პირადი კონტაქტებიც დაგვეხმარა. ლეგიონერებს ახლა იმიტომ ვიმატებთ, რომ ალექს გარსიას ვადროვეთ, შეკრებაზე გუნდს კარგად დაკვირვებოდა და თავად დაენახა, თუ რომელ პოზიციებზე გვჭირდებოდა გაძლიერება.

თქვენს წინაშე არიან საინტერესო ბიოგრაფიისა და გამოცდილების ფეხბურთელები. მათ კიდევ ერთხელ მივესალმები და ვუსურვებ, "დინამოში" წარმატებული პერიოდი გაეტარებინოთ.

ხისკო: - თბილისში რამდენიმე საათის წინ ჩამოვედი და თქვენი ქალაქითა და თბილი მიღებით უკვე აღფრთოვანებული ვარ. ასეთი დახვედრისთვის ყველას დიდ მადლობას გიხდით და ვეცდები, თქვენი იმედები სრულად გავამართლო.

ვიცი, რომ "დინამო" მდიდარი ტრადიციების მქონე და ტიტულოვანი კლუბია. მისმა ხელმძღვანელობამ ახალწამონყებული პროექტის შესახებ მიამბო და ჩემთვის მასში მონაწილეობა საინტერესო აღმოჩნდა.

იაგუე: - სამი დღეა, თბილისში ვარ და თავს უკვე შინაურულად ვგრძნობ. მწვრთნელებმა და თანაგუნდელებმა კარგად მიმიღეს და გარემოც ძალიან მომწონს. ვფიქრობ, ადაპტაციას მალე გავივლი და თავს კარგად წარმოვაჩენ.

კოტო: - დარწმუნებული ვარ, "დინამოში" გადმოსვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მოტივაციითა და სასიამოვნო ემოციებით ვარ სავსე და მზად ვარ, ჩემს ახალ კლუბს გამოვადგე.

"დინამოს" ესპანელი ახალწვეულების შესახებ რამდენიმე დღის წინ ვრცლად გიამბეთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ჩისკო მუნიოსი 30 წლის შემტევი ნახევარმცველია და გასული სეზონი "ლევანტეში" გაატარა, 2004 წელს კი **რაფა ბენიტესის** "ვალენსიასთან" ერთად უეფას თასი მოიგო; 26 წლის ალბერტ იაგუე ცენტრფორვარდია და "ესპანიოლის" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, ორი სეზონი გაატარა სეგუნდა დივიზიონის "ეიბარში"; 23 წლის კარლეს კოტო კი "ბარსელონას" აკადემიაში აღიზარდა, უთამაშია ბელგიურ "მუსკრონსა" და კვიპროსულ "ანორთოსისში".

ლევან ჯანეზაშვილი

● ევროპის ლიგა

ბანანცი და ვრაცეები: ისევ წაგება

გაიხარე, ოლონდ ჭკუით: გუნდი არ უნდა დააღალატო

30.06. ერევანი. რესპუბლიკური. 8 000 მაყურებელი

ბანანცი	0
მეტალურგი	1

0:1 ქობალია (48).

ბანანცი	მეტალურგი
ნეპოგოდოვი	გათიაშვილი
დაგბაშიანი	ჯაფარიძე
ხაჩატრიანი	კვახაძე
არაქელიანი	მახვილაძე
ედიგარიანი	ორგელაძე
ვოსკანიანი	ტყემელაძე
გეზალიანი	რაზმაძე
გალაგეკიანი	მაისურაძე
კორეა	გეწაძე
ამბარცუმიანი	ქობალია
დაშიანი	მოდებაძე
მწვრთნელი	მწვრთნელი
რ. ნაზარიანი	ა. ჯელაძე

ბანანცი

46. დაგბაშიანი - **პეტროსიანი**
46. გეზალიანი - **დუბალა**
62. კორეა - **სუჯიანი**

სათადარიგოები: სარგსიანი, ოგანესიანი, კარაპეტიანი.

მეტალურგი

73. გეწაძე - **ქავთარაძე**
84. მაისურაძე - **პავლიაშვილი**
90. ტყემელაძე - **მიქაბერიძე**

სათადარიგოები: ბედიაშვილი, ღალანიძე, აბურჯანია, ლომაია.

გაფრთხილებები: ხაჩატრიანი (27), ქობალია (43), ჯაფარიძე (90+2).

გაძევება: ქობალია (48).

მსაჯი: ელი ჰაკმონი (ისრაელი).

ირაკლი ქობალია

რუსთაველებმა ევროდებიუტი ჩინებულად დაიწყეს, მეზობლების პრინციპულ დაპირისპირებაში "მეტალურგმა" გამარჯვებით გაგვახარა.

მათ ახალწვეულის, **დიმიტრი ტატანაშვილის** დამატება ვერ მოახერხეს – თავდამსხმელს თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტი მხოლოდ გუშინ დაუსრულდა და მისი ევროპის ლიგის განაცხადში შეყვანა შეუძლებელი აღმოჩნდა.

არ გამართლდა სომეხი გულშემატკივრისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი ქართულ გუნდებთან შეხვედრის წინ. ინტერნეტგაზეთ "არმფუტბოლის" გამოკითხვაში, რომელი სომხური კლუბი გავა შემდეგ წრეში, ყველაზე მეტი პროცენტი "ბანანცმა" დააგროვა – 30,77.

ერევნულმა კლუბმა ტრადიცია არ დაარღვია და შინ მესამე ქართულ გუნდთანაც დამარცხდა. მატჩი სომხების შეტევებით დაიწყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, მალე კი რუსთაველებმა შეუტიეს და, უეფას ვებგვერდის ცნობით, ორი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. მაგრამ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მეკარემ, მატჩამდე დონეცკის "მეტალურგიდან" დამატებულმა **დიმიტრი ნეპოგოდოვმა** ერევნელები გადაარჩინა: 30-ე წუთზე **ლუკა რაზმაძის** უძლიერესი დარტყმის შემდეგ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა. ამის შემდეგ ორი წუთი რუსთაველებმა განსაკუთრებით მწვავედ შეუტიეს. 31-ე წუთზე **რევაზ გეწაძის** ჩაწოდებული კუთხურის მერე რაზმაძემ დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაეფარა და კუთხურზე მოიგერია.

კუთხური კვლავ გეწაძემ შეასრულა და **ვაკო ტყემალაძემ** დაარტყა - "ბანაცის" მეკარემ თავისიანები ამჯერადაც გადაარჩინა.

აღსანიშნავია, რომ პირველ ნახევარში **რაფაელ ნაზარიანის** შეგირდებს ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ.

მეორე ტაიმი ქართველებისთვის ჩინებულად დაიწყო: 48-ე წუთზე ერევნელთა კართან დანიშნული კუთხური კვლავ გეწაძემ ჩამოაწოდა, "მეტალურგის" ახალწვეულმა **ირაკლი ქობალაიმ** ყველას დაასწრო, ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა – 0:1.

თუმცა ქობალიას მსაჯმა სიხარული იქვე ჩაუშხამა – მას სომხების კარში გოლი და წარმატებული ევროდებიუტი ისე გაუხარდა, 43-ე წუთზე მიღებული ყვითელი ბარათი დაავიწყდა, მაისურა გაიხადა, ტრიბუნების დამცავ მესერზე ახტა და მეორე გაყვითლება მოედნის დატოვებად დაუჯდა.

ასე რომ, მთელი მეორე ტაიმი "მეტალურგმა" 10 კაცით ითამაშა. ახლა უკვე საქმეში რუსთაველთა მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი** ჩაერთო, რომელმაც გუნდი სამჯერ გადაარჩინა: 73-ე და 75-ე წუთებზე **არტაკ დაშიანის** დარტყმები მოიგერია, 89-ე წუთზე კი - **არსენ ბალაბეკიანისა**.

მსაჯმა შეხვედრას 4 წუთი დაამატა, მაგრამ სომხებმა უპირატესობა ვერ გამოიყენეს და რუსთავის "მეტალურგს" ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი გაუჩნდა. განმეორებითი შეხვედრა რუსთავში 7 ივლისს გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

● ზესტაფონი

ოთხი რა ამბავია!

ავსტრია უგოლოდ არ უნდა დავტოვოთ

ბაზელი–ზესტაფონი 4:0

ზესტაფონი: მამალაძე (46. კვასხვაძე), თ. ლონღაძე (46. ბენაშვილი), ხიდეშელი (60. მ. კობახიძე), გ. ონიანი, გორგიაშვილი (46. ელიავა), ძარია (73. როსტომ გეწაძე), ბაბუნაშვილი (60. ჭანკოტაძე), აფციაური (79. გაგოშიძე), გრიგალაშვილი (80. სარდალიშვილი), დვალი (60. ლომია), ნინამძღვრიშვილი (46. გელაშვილი).

გოლები: 1:0 რიონგი (9), 2:0 ფრაი (45), 3:0 ფრაი (67), 4:0 ბუესი (81)

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" შვეიცარიულ "ბაზელთან" გუშინ მეტისმეტად უსიამოვნო მარცხი ინვნია. ვეტერანმა **ალექსანდერ ფრაიმ** და კომპანიამ საქართველოს ჩემპიონს შანსი არ დაუტოვეს.

ასეთ ძლიერ მეტოქესთან წაგება რა გასაკვირია, მაგრამ ოთხბურთიანი სხვაობით მარცხი გუნდის წევრების განწყობაზე დადებითად ვერაფრით იმოქმედებდა და იმედია, "ზესტაფონის" წევრები გუნებას 4 ივლისს გამოიკეთებენ – ამ დღეს ფეროელები ბოლო ავსტრიულ სპარინგში რუინულ "კლუჟს" გაეჯიბრებიან. ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ შეკრებისას ჩატარებულ სამ მატჩში ქართველებს ერთი გოლიც არ გაუტანიათ.

სასიამოვნო ამბებით დავამთავროთ - რამდენიმეკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ იმერელთა შემადგენლობაში **ნიკა გელაშვილმა, ზაალ ელიავამ** და **ალექსი ბენაშვილმა** ითამაშეს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ინტერვიუ

გურამ კაშიას პარადოქსები და ჰოლანდიური აღმოჩენები

ადამიანური ფაქტორი: საქართველოში თამაში უფრო ძნელია, ვიდრე ჰოლანდიაში

ზოგი ჩვენი მწვრთნელი ისე იქცევა, თითქოს ფეხბურთელი ტუსალია, თვითონ კი ციხის ზედამხედველი

ალარ მორჩა სსრკ? ვასილიევიჩ ივანოვიჩების შპარგალეები უკვე სირცხვილია

გურამ კაშია მშვებულება დაასრულა და ჰოლანდიაში გაემგზავრა. მანამდე არნემის "ვიტესისა" და საქართველოს ნაკრების მცველს ინტერვიუ ჩამოვართვით — ეს თბილისის "დინამოს" მატჩისწინა ვარჯიშზე მოხდა, რამაც გარკვეული კითხვებიც გვიკარნახა.

- ევროპაში მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო და შენი თბილისში ყოფნა რას მივანეროთ?

- სანაკრებო მატჩზე გამოძახების გამო შეკრებაზე 10 დღე ვიყავი, ნაკლები დასვენება გამომივიდა და "ვიტესმა" შვებულება გამიხანგრძლივა. ახლა ჰოლანდიაში ვბრუნდები, რადგან ფეხბურთელებმა ინდივიდუალური მომზადება უკვე განაახლეს.

- ალბერტ ფერერი "ვიტესიდან" გა-

უშვეს. შენი აზრით, კატალონიელმა რატომ ვერ გაამართა?

- ფერერი მე ძალიან მომწონდა. ცდილობდა, "ბარსელონას" ფეხბურთი გვეთამაშა და, ალბათ, ეს იყო მისი შეცდომა. სანამ გუნდი მისთვის უჩვეულო სტილს შეეჩვევა, დრო სჭირდება და, ცხადია, უცებ ათვისება გაგვიჭირდა. ბევრმა ვერც აღიქვა, რას ითხოვდა. როგორია, უცებ ითამაშო ისეთი ფეხბურთი, როგორსაც "ბარსელონა" თამაშობს?! უცებ კი არა, წლები რომ მოვანდომოთ, კატალონიელებივით უმრავლესობა ვერასოდეს ვითამაშებთ. თორემ პიროვნულად ფერერი ძალიან კარგი ადამიანია.

- ახალ სეზონში რას ისახავთ მიზნად?

- ეს ახალწვეულებზეც იქნება დამოკიდებული, გვეუბნებიან, რომ უნდა გავძლიერდეთ და შარშანდელი შედეგი გავაუმჯობესოთ, თორემ ყველას გაგვყრიან.

- "ვიტესში" თუ გსმენია რაიმე ჰაიმ მეგრელიშვილზე, რომელიც არნემულ კლუბში 2009 წლამდე თამაშობდა?

- ეს სრულიად შემთხვევით გავიგე — "ვიტესი"-"გრონინგენის" ძველი მატჩის ჩანაწერის ყურებისას ჩემთვის უცნობმა ფეხბურთელმა მეგრელიშვილმა იმ მატჩში გაიტანა. გაკვირვებული დავრჩი, ჰოლანდიელებიც ვერ იჯერებდნენ, ებრაელი მეგრელიშვილი, რომელიც ისრაელის ნაკრების კანდიდატი იყო, საქართველოსთან რა კავშირშიაო? ვუთხარი, რომ ქართული გვარი იყო და მას მერე ასეც იციან, რომ ქართული

გვარის კაცს "ვიტესში" ჟორდანიამდეც უთამაშია.

-აი, ახლა "დინამოს" ვარჯიშს ვესწრებით, რომელიც სულ ბურთით ტარდება. ჰოლანდიაში მომზადების რა სისტემაა?

- "დინამოს"ახალი მთავარი მწვრთნელის, ალექს გარსიას ვარჯიშები მომეწონა, რადგან დიდი ხანია, ევროპელები ასეთ მეთოდით იწვრთნებიან. საქართველოში ახლაც მოქმედი მომზადების სისტემა ჰოლანდიაში აღარც ახსოვთ, რადგან უკვე ძალიან მოძველდა. დავრბივართ, მაგრამ ეს მხოლოდ პულსის შესამოწმებლად. იქ არ გთხოვენ, რვა კილომეტრი გარკვეულ დროში ირბინო. ვარჯიშები სულ ბურთით ტარდება, რაც კროსებზე არანაკლები დატვირთვაა, მაგრამ უფრო სასარგებლო და სახალისოა, ფსიქოლოგიურადაც არ გღლის. მე ასეთი ვარჯიში მიხარია. კარგია, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ფიზკულტურა ჩვენთანაც ნელ-ნელა თანამედროვე სისტემით რომ იცვლება. ძალიან კარგია, "დინამომ" ასეთი პროგრესულად მოაზროვნე მწვრთნელი რომ ჩამოიყვანა. მოთამაშეები ასეთ ფეხბურთს უფრო გაიგებენ.

საერთოდ, ნახევარი წელიწადია, ჰოლანდიაში გადავედი, მაგრამ ბევრ რამეზე უკვე შემეცვალა წარმოდგენა და ფეხბურთზეც სხვანაირად ვფიქრობ.

- კონკრეტულად რას გულისხმობ?

- ბევრი მიზეზის გამო მიმაჩნია, რომ საქართველოში თამაში უფრო ძნელია, ვიდრე ჰოლანდიაში. ვგულისხმობ არა კლასს, არამედ ადამიანურ ურთიერთობებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გუნდის ასათამაშებლად.

- ეს საქართველოში პრობლემურია?

- რა თქმა უნდა. საკამათო არ არის, რომ ჰოლანდია მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერია. იქ სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა არა მხოლოდ მომზადებისა და ვარჯიშის სისტემებში, არამედ, უპირველესად, ადამიანების ურთიერთობებში. იქ მწვრთნელი არ მოგაძახებს - ირბინე, თორემ გუნდიდან გაგაგდებ, კუთხეში დაგაყენებ, დაგსჯი და ასეთებს. "დინამოს" არ ვგულისხმობ, მაგრამ მეგობრებისგან მსმენია, რომ ბევრ ქართულ კლუბში მწვრთნელი ფეხბურთელებს ციხის ზედამხედველივით უყურებს, ადამიანებთან ურთიერთობა არ იცის და ჰგონია, ეს არის სწორი და სამართლიანი მიდგომა.

წარმოუდგენელია, ადამიანმა შეცდომა არ დაუშვას. ცხადია, გამონაკლისი არც ფეხბურთელია, მაგრამ ყვირილითა და უხეში დამოკიდებულებით ადამიანს ვერაფერს აუხსნი. ჰოლანდიაში შეცდომაზე ადამიანურად გითითებენ. როდესაც ხედავენ, რომ შეცდომის გამოსწორება, სწავლა და პროგრესი გსურს, ეს მათთვის საკმარისია. აქ ერთ თამაშს თუ ჩააგდებ, თანადგომის ნაცვლად ნნეხში ხვდები, იძაბები და რაც შეგიძლია, იმასაც ველარ აკეთებ. მეორე შანსსაც არ მოგცემენ. სამწუხაროდ, ასეა ძალიან ბევრ კლუბში და ამიტომ საქართველოში თამაში ძალიან ძნელია.

- რომ არაფერი ვთქვათ პირობებსა და აღდგენებზე.

- ამ მხრივ ისეთი განსხვავებაა, როგორიც ცასა და მიწას შორის. თუმცა მახარებს, რომ რამდენიმე ქართულ გუნდში ამ მხრივ აშკარა პროგრესია, მაგალითად, "დინამოში".

- დიდი ხანია, ნაკრებში თამაშზე ოცნებობდი, ხორვატიაში ეს შანსი მოგეცა, მაგრამ სრულიად უცხო ამპლუაში - შენი ნახევარმცველობა რამ განაპირობა — მცველი პირველ ტაიმში ხორვატების ნახევარდაცვას უფრო დაღლიდი?

- ასე კი გვსურდა, მაგრამ ჩვენ უფრო დავიღალეთ. რა თქმა უნდა, ნახევარმცველობა ჩემთვის უჩვეულო იყო, რაც შემეძლო, მაქსიმალურად ვეცადე, მაგრამ რაც არ შემიძლია, იმას ვერ გავაკეთებ. თუმცა, შეიძლება, ბევრი ვერაფერიც გავაკეთე.

- ფაქტია, რომ ხორვატების აშკარა უპირატესობა გამოჩნდა, კლასი თავისსას შვრება.

- ეს უნდა ვაღიაროთ, რაც ნამდვილად არ არის სამარცხვინო. რადგან ქართველი ვარ, ამის გამო ჩემს თავს და გუნდს ყველაზე მაღლა ვერ დავაყენებ. მოდი, წინა წლებისა და ახლანდელი ნაკრები შევადაროთ, განსხვავება არ არის? ადრე ვითხოვდით, გუნდს სამარცხვინოდ არ წაეგო, ახლა კი იმხელა პროგრესია, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის პრეტენზია გაგვიჩნდა. ვფიქრობ, ეს უკვე შედეგია და ხორვატიასთან ნაგების მიუხედავად, ყველაფერი ნყალში არ უნდა ჩავყაროთ.

მერაბ მამულაშვილი

● U21

შოთა არველაძე

შოთამ, ჩამოდით, ვითამაშოთო

არველაძემ ახალგაზრდული მიიწვია

შოთა არველაძის "კაისერისპორი", რომელმაც ახლახან **ზურაბ ხიზანიშვილი** დაიმატა, 15 ივლისს საკუთარ სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ამხანაგურად უმასპინძლებს.

ქართველი ახალგაზრდების დამრიგებელმა **ოთარ გაბელიამ** გვითხრა, რომ მატჩისწინა შეკრებას არ გეგმავს.

"ნაკრების კანდიდატების ნაწილი ევროთასებზე ითამაშებს ან კლუბებში სეზონისთვის ემზადებიან და შეკრების მოწყობა გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ ასე გადავწყვიტეთ — გუნდი 14 ივლისს შეიკრიბება და თურქეთში გავემგზავრებით. შეხვედრა 15 ივლისს არის დანიშნული და იმავე დღეს უკან გამოვბრუნდებით.

გამიხარდა, მატჩის გამართვა თავად შოთა არველაძემ რომ შემოგვთავაზა. შესაძლოა, ევროთასებზე გასული გუნდების წევრები არ გამოვიძახოთ, სამაგიეროდ, იმ ბავშვებზე დაკვირვების შანსი გვეძლევა, რომლებიც 60-კაციან სიაში არიან და აქამდე ვერ ვნახეთ. ცხადია, მათაც მოვიწვევთ, რომლებიც ევროთასებზე არ თამაშობენ. თურქეთში 18 ფეხბურთელს წავიყვანთ, საბოლოო სიას კი სამ დღეში დავასახელებ" – გვითხრა გაბელიამ.

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იმედოვნებს, რომ შემდეგ საკონტროლო შეხვედრამდე, რომელიც 10 აგვისტოს მოლდოვასთან კიშინიოვში გაიმართება, მორიგ ორმხრივ შეხვედრასაც ჩაატარებს და კანდიდატებს კიდევ ერთხელ დააკვირდება.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

მერებაშვილი ელის, მაგრამ არ ჩქარობს

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ ნოვი სადის „ვოივოდინას" შემტევი ნახევარმცველის, **გიორგი მერებაშვილის** დაბრუნება თბილისის „დინამოს" სურდა, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. მაშინ ისიც შევიტყვეთ, რომ გიორგის ჰოლანდიური და რუსული კლუბები სთავაზობდნენ გადასვლას.

თუმცა 24 წლის ფეხბურთელი ახალ სეზონსაც სერბულ კლუბში დაიწყებს. როგორც მან გვითხრა, "ვოივოდინასთან" ერთად ევროპის ლიგის მატჩისთვის ემზადება.

"ჯერჯერობით "ვოივოდინაში" ვარ და, სავარაუდოდ, გუნდში დავრჩები კიდეც, მაგრამ ჯერ ამის მტკიცებაც არ შემიძლია. კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, გიშვებთ და ამ დღეებში ერთ-ერთი კლუბის წინადადებასაც გაცნობებთო, მაგრამ სანამ კონკრეტულად არ მეცოდინება, რომელი კლუბია და რას მთავაზობს, წასვლაზე ფიქრი უადგილო მგონია" – გვითხრა მერებაშვილმა.

მერაბ მამულაშვილი

● პარლამენტარის აზრი

ნუ გეშინიათ!

ასანიძე კლუბებს ამშვიდებს

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ასანიძემ** "ლელოსთან" კომენტარში აღნიშნა, რომ კმაყოფილია ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებით.

"ვფიქრობ, ყრილობის გადაწყვეტილებებით ჩვენი ფედერაცია ფიფასა და უეფას სამართლებრივ მოთხოვნებს უახლოვდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო ლიცენზირებისა და კლუბების სტატუსის საკითხი.

აღმასკომის წევრთა არჩევას რაც შეეხება, მთავარია არ ის, ვინ იქნება აღმასკომში, არამედ რას გააკეთებენ არჩეული ადამიანები ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. ითქვა, რომ აღმასკომში კლუბები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი და ეს ბიზნესმენებს ფეხბურთზე გულს კიდევ უფრო აუცრუებსო. მე ამ აზრს არ ვეთანხმები, რადგან მიმაჩნია, რომ კლუბების აზრი აღმასკომზე აუცილებლად იქნება გათვალისწინებული" – ამბობს ასანიძე და იმედოვნებს, რომ მალე ქართულ ფეხბურთს უკეთესი დრო დაუდგება.

"თუ ფეხბურთში არ ჩაიდო სოლიდური კერძო ინვესტიცია, ძალიან ძნელი იქნება საერთაშორისო წარმატებაზე ფიქრი. ამ მხრივ კი გარკვეული ნაბიჯები იდგმება - ბოლო სეზონში უმაღლეს ლიგაში უფრო მეტი კერძო კლუბი დანინაურდა, რაც ძალიან დამაიმედებელია. რა თქმა უნდა, რამდენიმე კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს, მაგრამ კერძო ინვესტიციების მიზიდვის პროცესი დაწყებულია. ამას ემატება სახელმწიფო პროგრამებითა და ინვესტიციებით განხორციელებული პროექტები. ამიტომ ვფიქრობ, რომ წლევანდელი სეზონი ბევრად უფრო წარმატებული და ეფექტური იქნება, ვიდრე შარშანდელი, 2012 წლისთვის კი სახელმწიფო ქართული ფეხბურთს უფრო მეტად დაეხმარება".

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ იუნაიტედი

დე ხეა ქალით მივიდა



დავიდ დე ხეა მანჩესტერში

ედურნე

20 წლის ესპანელი მეკარე **დავიდ დე ხეა** „მანჩესტერ იუნაიტედში" ცხოვრების მიერ ნაბოძები ჯილდოთი ჩავიდა. გგონიათ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონის ტიტულს ვგულისხმობთ? არა, მისი მეგობარი გოგონა, **ედურნე** გვყავს მხედველობაში. გამოგნებული გარეგნობისა და პოპულარობის ესპანელი პოპ-ვარსკვლავი ინგლისში „ატლეტიკოდან" 18,3 მილიონ ფუნტად (20,3 მილიონი ევრო) ნაყიდ მეკარეს ჩაჰყვა. ის, სატრფოზე ხუთი წლით უფროსია და მართალია, სამშობლოში, როგორც მომღერალს კრიტიკოსები მაინცდამაინც არ სწყალობენ, შესახედავად ისეთია, პირდაპირ მიანიჭებ ვარსკვლავის სტატუსს. რასაკვირველია, ესპანეთში ვარსკვლავის სახელით დაიარება თავად დე ხეაც, კაცი, რომელიც მანჩესტერში ლეგენდარული **ედვინ ვან დერ საარის** შესაცვლელად ჩაიყვანეს.

თქმა არ უნდა, ვარსკვლავური წყვილი ინგლისში ყურადღებას მიიპყრობს, მაგრამ დე ხეა აქედანვე ცდილობს ორივე ფეხით მინაზე დარჩეს. ის ამბობს:

„არა მგონია, რაიმე პრობლემამ იჩინოს თავი. ედურნე თავისი ბალადების სიმღერას გააგრძელებს, მე კი დარტყმებს მოვიგერიებ. დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს. ვინაც რა უნდა ის თქვას".

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ახალგაზრდა ესპანელის ეს სიტყვები ადასტურებს, თუ რა სერიოზულად არის ის განწყობილი საქმისადმი. თუმცა, იმავე გაზეთების აზრით, დავიდი და ედურნე ერთი შეხედვით ძალიან შეუფერებელი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

თავად განსაჯეთ: დე ხეას ის ჟანრი, რომელშიც ედურნე მოღვაწეობს, არ უყვარს. მისი სამყარო „ჰევი მეტალია". თუმცა, მეორე მხრივ, მასში რომანტიზმიც მარცვალიც მოიძებნება - ჩემი საყვარელი ფილმი „ტიტანიკიაო".

ედურნე პრანჭია და თვალში საცემია, დავიდი კი უფრო მოკრძალებული რეალისტი ჩანს.

„პირველივე დღიდან, როდესაც ხალხმა სახეზე დამიმახსოვრა და პოპულარული გავხდი, ვცდილობ არ შევიცვალო. ყველა ღონეს ვხმარობ, რათა ისევე მოვიქცე, ადრე რომ ვიქცეოდი და ჩემი ოჯახის წყალობით ამას ვაღწევ კიდეც. ქება თუ მაწუხებს? არა, ამით არ ვტყუვდები. ერთ დღეს რომ შეგაქებენ, მეორე დღეს გადაგივლიან. ასე რომ, ემოციას ზედმეტად არ უნდა აჰყვე. მთავარია ორივე ფეხით მიწაზე მყარად იდგე და, მერწმუნეთ, არასდროს დაენარცხები".

დავიდ დე ხეა არასდროს ივიწყებს მადრიდიდან 30 კილომეტრში მდებარე დასახლებულ პუნქტ ილესკასს, რომლის მოსახლეობა „ოლდ ტრეფორდზე" ერთ ტრიბუნას თუ შეავსებს. ის ილესკასში ხშირად ჩადის, ძველ სკოლას სტუმრობს და ადგილობრივი ბავშვების კერპია. მისი ყოფილი მასწავლებელი **ჯოსე ლუის გარსია** ამბობს:

„დავიდი ძალიან კარგი მოსწავლე იყო. ის კარგი ოჯახის შვილია და ყოველთვის გამოირჩეოდა აღზრდითა და წესიერებით. დავიდმა ჩვენს სკოლაში ოთხიდან ჩვიდმეტ წლამდე ისწავლა.

საგნებს კარგად ითვისებდა, თუმცა გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ინგლისური უჭირდა. რაც შეეხება სპორტს, აქ ხომ უბრალოდ შეუდარებელი იყო, თან ყველა სახეობაში. ის კალათბურთსაც შესანიშნავად თამაშობდა, გრძელი ხელები აქვს და იმიტომ. არ გამკვირვებია, მეკარე რომ გამოვიდა.

„ატლეტიკოს" შემადგენლობაში დავიდმა წარმატებას მიაღწია, ცნობილი კაცი გახდა, მაგრამ ამან ის იოტისოდენადაც ვერ შეცვალა. ის ძველებურად, ერთი ჩვეულებრივი ბიჭია".

დე ხეამ „ატლეტიკოს" კარში 18 წლისამ დაიმკვიდრა ადგილი და მართლაც თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია. გასულ სეზონში მან ლა ლიგაში 38 შეხვედრა ჩაატარა, გაშვებით კი მხოლოდ 53 გაუშვა — არადა, „ატლეტიკოს" დაცვა ინგლისში „ვესტ ჰემის" დაცვას მოგაგონებს. დე ხეას თამაშში რაღაც თავისებური დაინახა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმაც**. იმიტომაც არ მოეშვა და სანამ არ იყიდა, არ მოისვენა.

დე ხეაზე დიდი აზრისაა „რეალის" და ესპანეთის ნაკრების მეკარე **იკერ კასილიასიც**.

„ის მალე ყველას პენსიაში გაგვიშვებს. ველოდები, რომ ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლებში მოსახვედრად სულ მალე დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მომიხდება. დე ხეას ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ, ის ჩვენი მომავალია. 12 წლის წინანდელ საკუთარ თავს მაგონებს".

● არსენალი

ოპტიმისტი ფაბრეგასი

სესკ ფაბრეგასი ოპტიმისტურად განეწყო. ამ ზაფხულს მის „ბარსელონაში" გადასვლას წინ ვეღარაფერი დაუდგება. ოპტიმიზმის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მფლობელმა და ესპანეთის ჩემპიონმა „არსენალს" ახალი წინადადებით მიმართა — „ბარსა" 35 მილიონ ფუნტს ანუ დაახლოებით 39 მილიონ ევროს გამოდის. ზოგი წყაროს თანახმად, თანხა, რომელსაც კატალონიელები გამოდიან, 32 მილიონი ფუნტია, თუმცა საკომისიოებისა და სხვა „კუდების" დამატებით 37 მილიონამდე ადის. ბარსელონას სიახლოვეს, ქალაქ ტორდერაში მდებარე საფეხბურთო ბანაკში ლაღობისას 24 წლის ვარსკვლავმა თქვა:

„არაფერი მაქვს სალაპარაკო, ვერაფერს გეუბნებით. აბსოლუტურად მშვიდად ვარ და ოპტიმიზმით შევყურებ მოვლენათა განვითარებას. თუ მოხდება რამე, ყველანი დავინახავთ. საერთოდ, ფეხბურთელი მაშინ იყიდება, როდესაც ის ძველ კლუბს აღარ უნდა. მე არც ამ მხრივ მაქვს პრობლემა".

„ბარსელონას" პრეზიდენტი, **სანდრო როსელი** შემდეგ კვირაში შვებულებაში მიდის და უნდა, რომ სესკის საქმე მანამდე მოაგვაროს. ის დარწმუნებულია, რომ თანხა, რომელიც „ბარსამ" ახლა შესთავაზა „არსენალს", ვაჭრობის საბაბს აღარ იძლევა — ამიერიდან მხარეებმა ხელი ხელს უნდა დაჰკრან. შეგახსენებთ, რომ შარშან ზაფხულში „მეთოფეებმა" კატალონიელებს 30 მილიონ ფუნტზე უთხრეს უარი, თუმცა ბოლო ორი წელიწადია, არავისთვის გახლავთ საიდუმლო, რომ ვარსკვლავს სურს დაბრუნდეს კლუბში, რომელიც 2003 წელს, ყმაწვილკაცობის ასაკში დატოვა.

ამბობენ, რომ ჩრდილოლონდონელთა თავკაცი **არსენ ვენგერი** უკვე გამალებული ემზადება ფაბრეგასის შემდგომი პერიოდისთვის. ის დარწმუნებული ბრძანებულა, რომ „ლილის" 24 წლის თავდამსხმელ **ჟერვინიოსაც** იყიდის და „ველეს სარსფილდის" 23 წლის შემტევ ნახევარმცველ **რიკი ალვარესსაც**. თითოეულ მოთამაშეში „მეთოფეებს" 11 მილიონი ფუნტის ანუ 12 მილიონ ევროზე მეტის გადახდა მოწევს. საიდან, მარად ეკონომიაზე მოლაპარაკე „არსენალს" ამდენი თანხა? რასაკვირველია, ფაბრეგასის გაყიდვიდან.

სხვათა შორის, „ლილს" ლონდონელებმა თავიდან 7,2 მილიონი ფუნტი (8 მილიონი ევრო) შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. ახლა ისინი საფრანგეთის ჩემპიონს ახალი წინადადებით მიმართავენ. მთავარია, რომ პრინციპული შეთანხმება არსებობს.

რაც შეეხება ალვარესს, არც ის ყოფილა „ემირეიტ სთედიუმზე" გადასვლის წინააღმდეგი. არგენტინელმა თქვა: *„რასაკვირველია, „არსენალში" თამაში ძალიან მინდა. ღმერთს ვთხოვ, ეს საქმე არ ჩაიშალოს".*

ამასობაში, „არსენალს" ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმაც" შეახსენა თავი. სერ **ალექს ფერგიუსონს** 24 წლის ფრანგის, **სამირ ნასრის** ყიდვა აქვს ამოჩემებული. ფერგიმ „მეთოფეებს" ნასრის თაობაზე ახალი წინადადებით მიმართა — 20 მილიონი ფუნტი შესთავაზა. ადრეც მოგახსენეთ, რომ ნასრის, კონტრაქტის თანახმად, „არსენალთან" თანამშრომლობის ერთი წელიწადიღა დარჩა. ფეხბურთელი ცდილობს ისეთ კლუბში გადავიდეს, სადაც კვირაში 100 ათას ფუნტს დაუნიშნავენ. ნასრისთან კონტრაქტის გაგრძელებას თავად „მეთოფეებიც" ცდილობენ, მაგრამ ინგლისური პრესა წერს, რომ არც მისი გაყიდვა უნდა გაგვიკვირდეს მაინცდამაინც. „მარსელის" ყოფილი ფეხბურთელის აგენტი, **ჟან-პიერ ბერნესი** კი ამბობს, რომ „არსენალი" ნასრის 25 მილიონ ფუნტად შეელევა. რასაკვირველია, თავად ფეხბურთელი ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას ისურვებდა.

● ბირმინგემი

მეპატრონე დააპატიმრეს

„ბირმინგემ სიტის" სერიოზული კრიზისი დაეწყო. მიზეზი: მისი მეპატრონე **კერსონ იუნგი** ფულის გათეთრებისთვის დაიჭირეს. ეს ამბავი ჰონკონგში მოხდა, ინგლისური კლუბი კი ჰაერში დარჩა გამოკიდებული. თუ ბრალდებას დაუმტკიცებენ, იუნგს ციხეში თოთხმეტი წლის გატარება მოუწევს.

ამბობენ, რომ ეს გახლავთ ორი წლის წინ დაწყებული გამოძიების შედეგი. თითქოსდა, თავიდან ყველაფერი 800 ათასი დოლარის რაღაც გაუგებარ ანგარიშზე გამოჩენით დაიწყო და მერე მიჰყვა და მიჰყვა. პოლიციელებმა „ბირმინგემ სიტის" მეპატრონის ბინაც გაჩხრიკეს.

51 წლის იუნგმა „ბირმინგემ სიტიში" **დევიდ გოლდსა** და **დევიდ სალივანს** 81,61 მილიონი ფუნტი გადაუხადა. გოლდის და სალივანის გვარები, ალბათ გეცნოთ: დღეს ისინი „ვესტ ჰემ იუნაიტედის" მეპატრონეები არიან.

ბინის გაჩხრეკის შემდეგ იუნგი პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში ორმა პოლიციელმა წაიყვანა, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. 15 წუთში განყოფილებაში მივიდა მისი ადვოკატიც, რის შემდეგაც „ბირმინგემის" პატრონი ჰონკონგის პოლიციის მთავარ შენობაში გადაიყვანეს.

„შეუნგ ვანი" გახლავთ „ბირმინგემ ინტერნეშენალ ჰოლდინგის" „მშობელი" კომპანია, რომლის ოფისში კიდევ უფრო მეტი პოლიციელი და შემმოწმებელი მივიდა. ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ძალოვნებმა ოფისი აურაცხელი დოკუმენტით დატვირთულებმა დატოვეს. „ლურჯების" აღმასრულებელი თავმჯდომარე **პიტერ პენუ** კი ინგლისელი საზოგადოების დამშვიდებას ცდილობს. ის ამბობს, რომ ჰონკონგში დატრიალებულ ამბებს მათ კლუბთან არანაირი შეხება არ აქვს. თავმჯდომარემ თქვა:

„ახლახან ველაპარაკე ჩვენი პატრონი ორგანიზაციის ვექილებს ჰონკონგში. მათ მითხრეს, რომ საქმე, რომლის გამოც კერსონი დაიჭირეს „ბირმინგემ ინტერნეშენალ ჰოლდინგთან" და მით უმეტეს „ბირმინგემ სიტისთან" არაფერ შუაშია".

ჟურნალისტებმა აზრის გაზიარება სთხოვეს „ბირმინგემ სიტის" ყოფილ ვარსკვლავს, 57 წლის **კენი ბერნსს**, რომელსაც თავის დროზე „ლურჯი" მაისურით 170 თამაში აქვს ჩატარებული. მან თქვა:

„ახლა მარჩიელობაღა დაგვრჩა. უნდა ვიფიქროთ, ნეტავ რა მოხდება ჩვენი გუნდის თავს მომავალში. მართალი გითხრათ, ბოლო დროს „სიტიში" იმდენი უცნაური რამ მოხდა, რომ სახტად ვიყავი დარჩენილი. თუნდაც ალექს მაკლიშის საოცარი გაქცევა რად ღირს. ვფიქრობ, არც ის იქნება გამორიცხული, რომ „ბირმინგემ სიტი" გასაყიდი გახდეს. რამდენ ხანს გაძლებს კლუბი იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციები შეჩერდება? მეგონა ფინანსების ამბავი ახალ მწვრთნელ კრის ჰაფტონს მაინც ეცოდინებოდა, მაგრამ, ის, ახლა, ჩვენზე დაბნეული იქნება".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● ჩელსი

ტერი კაპიტნად დარჩება

„ჩელსის" კაპიტანი კვლავ 30 წლის **ჯონ ტერი** იქნება. დასავლეთლონდონელთა ახალმა თავკაცმა, **ანდრე ვილას-ბოასმა** თქვა, რომ მას ძველი კაპიტნისა სწამს და მას სრულად ენდობა. ფაქტია, რომ ტერი „ლურჯების" ისტორიაში ყველაზე წარმატებული კაპიტანია.

ტაბლოიდებმა კი შეიტყვეს, რომ ვილას-ბოასი იმავდროულად სხვა ფეხბურთელებსაც დააკვირდება და შეეცდება მათში „ჩელსის" ახალი კაპიტანი ამოიცნოს. რად უნდა ლაპარაკი, რომ 33 წლის პორტუგალიელ მწვრთნელს ახალი ლიდერები სჭირდება.

ვილას-ბოასმა თქვა: *„ჯონი ჩვენი კლუბის კაპიტანია და სანამ ისე თამაშს შეძლებს, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში როგორც თამაშობდა, სამკლავურს მას ვერავინ შეეცილება. ტერის კაპიტნობის წლებში „ჩელსიმ" არნახულ წარმატებას მიაღწია, გუნდმა უამრავი ტიტული მოიგო. ბოლო ექვსი-შვიდი წლის დიადი გამარჯვებები სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული.*

გუნდის დღევანდელი შემადგენლობის წევრთა უმეტესობას ვიცნობ და ვიცი, რომ მათ შორის ჯონია დაჯილდოებული იმ თვისებებით, რომლებიც ასე სჭირდება კაპიტანს. მას შეუძლია თანაგუნდელები აიყოლიოს. ერთი სიტყვით, თუ ჯონი შემადგენლობაში იქნება, სამკლავური, რასაკვირველია მას ეკუთვნა".

ვილას-ბოასის ამ განცხადებას ჟურნალისტებმა ანალიზი გაუკეთეს და დაასკვნეს, რომ ის ტერისთვის კარგ ინფორმაციასაც შეიცავს და ცუდსაც. კარგი ის არის, რომ ტერი კაპიტნად დარჩება, ცუდი კი - ის, რომ მას სამკლავური ყველა შეხვედრაში, კი არ ეკეთება, არამედ... იმ შემთხვევაში თუ მოედანზე იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვილას-ბოასი ჯონ ტერის ყველა შეხვედრაში თამაშს არ უპირებს. დიახ, ანდრე ვილას ბოასი, რომელსაც ინგლისურ პრესაში ავბ-საც უწოდებენ (როგორც ჩანს, ასე გრძელი, დეფისიანი გვარის წერას არიდებენ თავს) ყოველ შეხვედრაში თერთმეტ კაცს დამსახურების მიხედვით კი არ შეარჩევს, არამედ იმის მიხედვით, ვინ როგორ ფორმაში იქნება მოცემულ მომენტში.

და კიდევ, ვილას-ბოასის ნათქვამში მკაფიოდ იგრძნობოდა, რომ ის მოედანსმიღმა კონფლიქტებს და სკანდალებს ვერ შეეგუება. „ჩელსის" ახალ მწვრთნელს უნდა, რომ მისი ფეხბურთელები მთელი ინგლისისთვის სამაგალითონი იყვნენ. ფეხბურთელმა კლუბს სახელი არ უნდა გაუტეხოს.

„ჩვენ გვინდა, რომ „ჩელსის" ფეხბურთელები გამარჯვებულები იყვნენ არა მხოლოდ მოედანზე, არამედ ცხოვრებაშიც. თუკი ისინი საზოგადოებისთვის სამაგალითონი გახდებიან, მოედანზეც მიაღწევენ წარმატებას. თუ ჩვენ, გუნდის მწვრთნელები, დავინახავთ, რომ გამოჩნდნენ ბიჭები, რომელთაც ხალხი ჰბაძავს, რასაკვირველია, კაპიტნობის შანსს მათაც მივცემთ. ხომ გახსოვთ, ყოფილა შეხვედრები, როდესაც „ჩელსის" ლემპარდმა და დროგბამაც უკაპიტნეს. ბოლოს და ბოლოს, ჯონი ერთადერთი ლიდერი ხომ არ არის. „ჩელსიში" ბევრი ლიდერია".

ჯონ ტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● სავარაუდო ტრანსფერი

აგუერო იუვეს უახლოვდება

სერხიო აგუერო

სერხიო აგუეროს „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით იტალიურ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად იწერება. იმას, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და შესაძლოა შეთანხმებით დასრულდეს, აღარავინ უარყოფს, მათ შორის - არც თავად ფეხბურთელი. აქვე, „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორის **ჯუზეპე მაროტას** კომენტარს გაგაცნობთ: *„მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღეს არ ვიცი, გადმოვა თუ არა აგუერო „იუვეში“. საქმე ძალიან მარტივად არის - ჩვენ მზად ვართ, რომ არგენტინელ შემტევში 35 მილიონი ევრო გადავიხადოთ, რაც დამეთანხმებით, სოლიდური თანხაა. თავად ფეხბურთელმაც განაცხადა, რომ „იუვენტუსში“ სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას, რამაც ოპტიმისტურად განგვაწყო. თუმცა, მთავარია, რას იტყვიან „ატლეტიკოს“ მესვეურები და შეელევიან თუ არა ამ ფასად წამყვან ფეხბურთელს“.*

თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, აგუერო ძალიან ახლოს არის „იუვენტუსთან“ და შესაძლოა, ყველაფერი მომდევნო კვირას დასრულდეს. მართალია, კულუარული ინფორმაციით, 23 წლის არგენტინელით „ჩელსის“ მესვეურებიც არიან დაინტერესებულნი და მასში 40 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ, მაგრამ ეს ცნობა ჯერჯერობით არ დადასტურებულა. ტურინული გრანდის მესვეურები კი უკვე ღიად აცხადებენ, რომ დღესვე მოაწერენ ხელს ხელშეკრულებას და მადრიდელთა ანგარიშზე 35 მილიონს გადარიცხავენ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ყველაფერს მალე შევიტყობთ.

აგუერო რომ თანახმაა იტალიაში გადაბარგდეს, ამაზე მისი პირადი აგენტის, **ბრუნო სატინის** სიტყვები მოწმობს: *„ტურინელებთან მუდმივ კავშირზე ვართ და ვადასტურებ, რომ მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია გადასული. ბოლო წლების განმავლობაში, აგუეროთი უამრავი გუნდი ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ან თანხა არ ჰყოფნით, ან კიდევ რაიმე სხვა მიზეზით მოლაპარაკება ჩიხში შეჰყავთ - „იუვეს“ მესვეურებმა კი უკვე ღიად განაცხადეს, რომ მზად არიან სერხიოს სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაიხადონ. ჩემს კლიენტს ევროპული ფეხბურთის გრანდში სურს ასპარეზობა და „იუვენტუსი“ ამ კრიტერიუმს სრულად აკმაყოფილებს. გამომდინარე აქედან, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ სერხიო შავ-თეთრი მაისურით ვიხილოთ“.*

ლაშა წიკლაური

● ლილი

ტრანსფერები ჩემპიონურად

ლილმა მიკაელ ლანდროს ღირსეული დუბლიორი უპოვა

“ლილის” ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმის, რომ შარშანდელი შემადგენლობა ჩემპიონთა ლიგაში ნაკლებად კონკურენტული იქნება, შესაბამისად, პრეზიდენტი **მიშელ სეიდუ** ყველაფერს აკეთებს, რათა ეს ნაკლი გამოსწორდეს. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში “ძაღლებმა” რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენის შესახებ გააკეთეს ოფიციალური განცხადებები. გუშინწინ კლუბმა გულშემატკივრებს “მონაკოდან” **პარკ ჩუ იანგის** შეძენა ახარა. პირველი, ვინც ეს ამბავი საზოგადოებას ამცნო, ფეხბურთელის აგენტი იყო. ამის შემდეგ ინფორმაცია კლუბის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. ფეხბურთელის ღირებულებაზე არავინ ლაპარაკობს, თუმცა იქამდე ცნობილი იყო, რომ მონეგასკები 25 წლის შემტევში 8 მილიონ ევროს ითხოვდნენ. უცნობია, დათანხმდა თუ არა ჩემპიონი ამ მოთხოვნას. თუკი ეს დადასტურდა, გამოდის, რომ სამხრეთკორეელი “ლილის” ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდება. აქამდე რეკორდი **ჟერვინიოს** ეკუთვნოდა. **ლუის გარსია** დარწმუნებულია, რომ მისი და **დიმიტრი პაიეს** დუეტს კლუბის შემტევ პოტენციალს ერთიორად მოაძლიერებს.

დავიდ როზენალს რომ ახალწვეული ვუწოდოთ, ამისთვის ენა არ მოგვიბრუნდება, შარშანდელი სეზონი 31 წლის მცველმა “ძაღლების” შემადგენლობაში გაატარა, მაგრამ მაშინ ის იჯარით გახლდათ მივლენილი. მართალია, ტრავმების გამო სულ 13 თამაში ჩაატარა, მაგრამ გუნდს უკვე შეჩვეულია და დებიუტანტად ვეღარ ჩაითვლება. „პარი სენ-ჟერმენის“, “ლაციოს”, “ნიუკასლისა” და “ჰამბურგის” ყოფილმა მოთამაშემ კლუბთან ახლა სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა. *“ეს მშვენიერი ინფორმაცია იყო პირადად ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც. ლილში მშვენივრად ვგრძნობთ თავს,”* - განაცხადა კლუბთან 3-წლიანი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვეტერანმა ჩეხმა.

3-წლიანი კონტრაქტით დაუკავშირა თავისი ბედი კლუბს ნიგერიელმა მეკარემ, 28 წლის **ვენსან ენიემამ**. ის 2007 წლიდან თელ-ავივის “ჰაპოელში” ასპარეზობდა, სადაც 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვს. ცნობილია, რომ ებრაულმა კლუბმა ვენსანში 0,5 მილიონი ევრო მიიღო. დიდი ალბათობით, რუდი გარსია ნიგერიელს მეორე მეკარედ განიხილავს, რადგან პირველი აქამდეც ცნობილი იყო, ეს საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯი **მიკაელ ლანდრაა**. საერთო ჯამში “ლილმა” უკვე 5 ფეხბურთელი გადაიბირა – დიმიტრი პაიე, **რონი როდელინი**, **მარკო ბაშა**, დავიდ როზენალი და პარკ ჩუ იანგი.

ახლა რაც შეეხება სავარაუდო დანაკარგებს: უკვე ყველა შეეგუა, რომ ჟერვინიო “არსენალში” გადავა, ხოლო წავა თუ არა **ედენ აზარი**, ეს ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. 20 წლის უნიჭიერეს ბელგიელს ძველ-ახალი მთხოვნელი გამოუჩნდა. მის მიმართ პსჟ-ს ინტერესზე 1 თვის წინ გაკვრით წერდნენ, ახლა კი ამბობენ, რომ მიშელ სეიდუს მაგიდაზე პარიზელების ოფიციალური წინადადება უდევსო – 31 მილიონი ევრო და პლუს **მევლუთ ერდინგი**. “ეკიპი” კიდევ უფრო შორს მიდის და წერს, ვითომ ფეხბურთელს ახლობლებისთვის პირად საუბრებში უთქვამს, რომ საცხოვრებლად პარიზში გადადის.

ლევან ბიბილაშვილი

● რომა

სტეკელენბურგი რომაში?

მივიდა თუ არა **ლუის ენრიკე** “რომაში”, პირველი ის განაცხადა, რომ გუნდი შეტევით ფაზაში საჭიროებს გაძლიერებას. თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, “ჯალოროსის” ერთი კარგი მეკარეც არ აწყენდა და შესაბამისად, ამ მიმართულებითაც გადაიდგა ნაბიჯები. დედაქალაქელების სურვილი იყო, რომ **ემილიანო ვივიანო** გადაებირებინათ “ბოლონიადან”, თუმცა “ბრმა აუქციონის” შედეგად კიპერი “ინტერს” დარჩა. “ბოლონიას’ მესვეურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ვივიანო “რომასთვის” უნდა მიეყიდათ, აი მილანელთა პოზიცია კი ჯერჯერობით უცნობია. გამომდინარე აქედან, “ტრიგოიაზე” გადაწყვიტეს, რომ ვივიანოს უნდა შეეშვან და სხვა მიმართულებით გააააქტიურონ მუშაობა.

“გაძეტა დელო სპორტის” მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომელსაც ჰოლანდიური წყაროები უმაგრებენ ზურგს, ლუის ენრიკემ **მარტენ სტეკელენბურგს** დაადგა თვალი და უახლოეს დღეებში, მასთან პირადად შეხმიანებას აპირებს. 28 წლის ჰოლანდიელი მეკარე “აიაქსის” ღირსებას იცავს, ამასთან ეროვნული ნაკრების პირველი ნომერია – ისიც ცნობილია, რომ მისით არაერთი ევროპული გრანდია დაინტერესებული. სტეკელენბურგის გადაბირება “მანჩესტერ იუნაიტედსაც” სურდა, თუმცა ბოლო მომენტში ინგლისელებმა ესპანელ **დე ხეიაზე** შეაჩერეს არჩევანი. მოკლედ, “რომას” სერიოზული კონკურენტი გამოაკლდა და სწორედ ამიტომ, ამსტერდამს იტალიური გუნდის სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** ენვევა – ამას მისივე კომენტარი ადასტურებს:

მარტენ სტეკელენბურგი

“ჩვენ მართლაც გვსურდა ვივიანოს გადაბირება და “ბოლონიას’ მესვეურებთან მოლაპარაკებულნიც ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ემილიანო “ინტერს” დარჩა. ამიტომ, მიზნად მარტენ სტეკელენბურგის გადაბირება დავისახეთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდეს. რამდენიმე დღეში, ამსტერდამში ჩავალ და არსებულ ვითარებას ადგილზე გავეცნობი – ჩვენ უკვე გვაქვს კონკრეტული წინადადება და ვნახოთ, რას გვიპასუხებენ ჰოლანდიელები”.

“გაძეტას” მტკიცებით, “რომას” მესვეურები მზად არიან, სტეკელენბურგის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადონ – ამსტერდამელთა პოზიციას მალე გავიგებთ.

ლაშა წიკლაური

● ლაციო

როკიმ გალათასარაი იუარა



ტომაზო როკი

რომის “ლაციოს” მესვეურები **ტომაზო როკის** სარფიანად გასხვისებას ლამობენ და საამისოდ ძალისხმევას არ იშურებენ. რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 33 წლის ფორვარდის შეძენით თურქული “გალათასარაი” დაინტერესდა და რომაელებს უკვე ოფიციალური წინადადებითაც მიმართა. “გაძეტა დელო სპორტი” იუწყება, რომ საუბარია ხუთ მილიონ ევროზე, რაც “ბიანკოელესტეს” მესვეურებისთვის სავსებით მისაღები თანხაა, თუმცა... გარიგება თავად ტომაზომ ჩაშალა, რომელმაც არ ისურვა კარიერის თურქეთში გაგრძელება. მიუხედავად იმისა, რომ “გალა” ფეხბურთელს ძალიან კარგ პირობებს სთავაზობდა, მან მტკიცე უარი განაცხადა და ამ ეტაპზე, კვლავ “ლაციოს” ფეხბურთელად რჩება. აი, რა თქვა ვეტერანმა თავდამსხმელმა ჟურნალისტთან საუბარში:

“მიუხედავად იმისა, რომ დამწყები ფეხბურთელის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი, ჯერჯერობით სპორტული მოტივაცია ჩემთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. თურქებმა შესანიშნავი პირობები შემომთავაზეს, მაგრამ მე ძლიერ ლიგაში მსურს თამაში და ამის შესახებ “ლაციოს” მესვეურებმა კარგად უწყიან. თუ მომეცემა საშუალება და “ბიანკოჩელესტეში” კიდევ მინიმუმ ერთი წლით დავრჩები, ძალიან გამიხარდება, წინაალმდეგ შემთხვევაში კი მხოლოდ ტოპლიგის გუნდთა წინადადებებს განვიხილავ”.

ლაშა წიკლაური

● უეფა

უფრო მეტი, ვიდრე...

უეფა კომერციულ სტრუქტურას დაემსგავსა. უცნაურია, მაგრამ ყოველ ჯერზე მისთვის წარმატების ერთადერთი განმსაზღვრელი ის ფაქტორია, რამდენი ფული მოიტანა ამა თუ იმ ტურნირმა. აი, ახლაც ამ “ფირმის” მუშაკები დასხდნენ და დაითვალეს, რამხელა შემოსავალს ელიან ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისგან. აღმოჩნდა, რომ უფრო მეტს, ვიდრე 4 წლის წინ მიიღეს – ლაპარაკია 1,355 მილიონ ევროზე, აქედან 840 მილიონი ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან შემოვა, 290 კომერციული უფლებების გასხვისების წყალობით, 125 ბილეთების გაყიდვიდან, 100 კი კორპორატიული საღამოების მოწყობით. ეს ამბავი საინფორმაციო ცენტრ “უკრაინა 2012-ს” ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მდივანმა **მარცინ ლუბკივსკიმ** აუწყა. მისი თქმით, ეს საპროგნოზო მაჩვენებელია და რეალურმა შემოსავალმა შეიძლება უფრო მეტი ფული მოიტანოს. ეკონომისტები უზარმაზარი სავარაუდო შემოსავლის დაგეგმვას რაციონალურ ახსნას უძებნიან: 1. პოლონურ და უკრაინულ სტადიონებზე ავსტრია-შვეიცარიასთან შედარებით 30%-ით მეტ მაყურებელს შეეძლება მოხვედრა; 2. ეს ქვეყნები “ნინამორბედებთან” შედარებით ბევრად უფრო დიდია მოსახლეობით, ორივე ქვეყანას ერთად თუ ავიღებთ 84 მილიონი 16-ის წინააღმდეგ გამოვა. დაბოლოს, 3. წმინდა სპორტული ახსნა: მომავალ წელს ორგანიზატორები გულშემატკივართა ზონების შექმნას უფრო მეტ ადგილას გეგმავენ, შესაბამისად, მეტ მაყურებელს შეეძლება სუფთა საფეხბურთო გარემოთი დატკბობა, რაც ტურისტების ნაკადის მოზღვავებას შეუწყობს ხელს.

ლევან ბიბილაშვილი

● მილანი

გალიანიმ ჰამშიკი გამორიცხა

“მილანის” გარშემო იტალიურ სპორტულ პრესაში უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება – ბოლო და ყველაზე აქტუალური საკითხი **მარეკ ჰამშიკის** შავ-წითელთა ბანაკში გადანაცვლების ამბავია. ჟურნალისტთა ნაწილმა ეს ტრანსფერი უკვე შემდგარად გამოაცხადა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი ყოფილა - მოვუსმინოთ “როსონერის” ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის**:

“მიზერული შანსიც კი არ არსებობს იმის, რომ მარეკ ჰამშიკმა მომდევნო სეზონში “მილანის” ღირსება დაიცვას. ძალიან კარგი ფეხბურთელია, ამის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მასიმილიანო ალეგრის გეგმებში აშკარად არ შედის. რაც შეეხება სხვა შესაძლო შენაძენებს, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი კაკას და განსოს ტრანსფერების მიმართ. ორივეს სურს “მილანში” გადმოსვლა, რაც ერთიორად გაგვიადვილებს საქმეს. განსოსთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები დიდი ხანია მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში წარმატებით დასრულდეს. აი, რაც შეეხება სესკ ფაბრეგასის საკითხს, ის ალბათ დატოვებს “არსენალს”, მაგრამ გადავა “ბარსელონაში” და არა “მილანში” – ასე რომ, ესპანელთან დაკავშირებით სასიხარულოს ვერაფერს გეტყვით”.

მარეკ ჰამშიკი

ლაშა წიკლაური

● ამბები

დე ზეუვი წავიდა

ლიდერები უნდა დარჩნენ

ზუსტად გუშინ გაცნობებდით, რომ აიაქსელი **დემი დე ზეუვი** ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მოსკოვის "სპარტაკში" გადასულიყო. მისი აგენტი მოგვიწოდებდა, ჰოლანდიური პრესისთვის არ დაგვეჯერებინა. „დე ტელეგრაააფი" ხომ საქმეს უკვე გაჩარხულად მიიჩნევდა. აი, გუშინ კი დე ზეუვმა "ტვიტერზე" დაწერა, რომ "სპარტაკთან" 3-წლიანი კონტრაქტის გაფორმებამდე მხოლოდ სამედიცინო შემონმების გავლაღა აკლდა. ნახევარმცველმა "აიაქსს" 2009 წელს "ალკმაარიდან" მიაშურა და მას მერე პრაქტიკულად არც დაუსვენია. წარმოიდგინეთ, ორი წლის განმავლობაში მან თეთრ-წითელი მაისურით 102 მატჩი ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა. გეტყვით იმასაც, რომ სულ ეროვნულ გუნდში მის ანგარიშზე 27 შეხვედრაა.

ამასობაში კი "აიაქსმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ამსტერდამში **ფრანკ დე ბურისა** და **დენის ბერგკამპის** გუნდის პირველ ვარჯიშს 2,5 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ვარჯიში ზედაპირული იყო და სულ რაღაც 75 წუთს გაგრძელდა. ფეხბურთელებმა ტრიბუნებზე შეფენილი ფანებისგან აპლოდისმენტები და საჩემპიონო სიმღერები დაიმსახურეს.

სწორედ პირველი ვარჯიშის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც დე ბურმა ვრცლად ილაპარაკა გუნდის შესახებ: *"მინდა, რომ მაარტენ სტუკელენბურგი, გრეგორი ვან დერ ვილი და იან ვერტონგენი მომდევნო სეზონშიც მყავდეს. ჯერჯერობით, არც ერთ ამ ფეხბურთელზე "აიაქსს" კონკრეტული წინადადება არ მიუღია. უნდა გითხრათ, რომ დასანანი იქნება, თუკი მათ შეძენას ვინმე ზედ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ მოინდომებს, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენ მათი შემცვლელების მოძებნა გაგვიჭირდება. იმედია, ეს სამეული ჩვენთან დარჩება და გუნდს ნარმატებებში დაეხმარება".*

დიჟონმა მეიტე გააფორმა

ლიგა 1-ის დებიუტანტმა "დიჟონმა" კვალიფიციური ცენტრალური მცველი შეიძინა, ლაპარაკია 30 წლის ივუარელ **აბდულაე მეიტეზე**. აფრიკელმა კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. აბდულაე 2006 წლიდან ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობდა, სადაც ჯერ "ბოლტონის" ღირსებას იცავდა, 2008-დან კი "ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" ასპარეზობდა. პრემიერლიგაში მან სულ 104 მატჩი ჩაატარა. "ვესტ ბრომვიჩს" მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება აღარ შეუთავაზებია, შესაბამისად საფრანგეთში ის თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბაგდა.

ფიქრი მომავალზე

ლუჩო გონსალესს სეზონის დასრულების შემდეგ ორი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი, წავიდოდა თუ არა "მარსელიდან" და თუ წავიდოდა, სად? პირველ შეკითხვას მან პასუხი რა ხანია გასცა – არგენტინელს საფრანგეთში დარჩენა აღარ უნდა. აი, მეორე კი ჯერ არ გადაუწყვეტია. მას ერთი კონკრეტული წინადადება აქვს. ლა ლიგის "მალაგა" რა ხანია მომხიბლავ წინადადებას სთავაზობს. იმის გათვალისწინებით, რომ ანდალუსიელთა არაბების ხელში გადასვლის შემდეგ კლუბს ფული აღარ უჭირს, ეს გასაკვირი სულაც არ არის. **მანუელ პელეგრინიმ** უკვე მოასწრო რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენა - ესენი არიან **რუუდ ვან ნისტელროი, იორის მატიისენი, ხოაკინი** და **ჟერემი ტულალანი**. "მარსელი" ფეხბურთელში 15 მილიონს ითხოვს, "მალაგა" ჯერჯერობით 13-ს იმეტებს.

ლევან ბიბილაშვილი

● ტრანსფერი

ტორსტენი ტორონტოში წავიდა

კლინსმანის გუნდში კუვერმანსთან ერთად

დანი კუვერმანსი (მარცხნივ) და ტორსტენ ფრინგსი (მარჯვნივ) „ტორონტოს" მთავარმა მწვრთნელმა აარონ ვინტერმა წარადგინა

ბრემენის „ვერდერმა" ახალი სეზონისთვის მზადება ოთხშაბათს ვეტერანი კაპიტნის, ბოლო წლებში გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, **ტორსტენ ფრინგსის** გარეშე დაიწყო. როგორც იცით, 34 წლის ფრინგსზე უარი ჯერ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** თქვა, გასული სეზონის მიწურულს კი „ვერდერის" თავკაცმა **თომას შაიფმაც** განაცხადა, რომ ბრემენული კლუბი ვეტერან საყრდენ ნახევარმცველს ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებდა. ფრინგსმა უკვე იპოვნა ახალი კლუბი, ოღონდ იქ, სადაც მხოლოდ ასაკოვანი, კარიერის ფინიშის სწორზე მდგარი მოთამაშეები იყრიან ხოლმე თავს – როგორც მიხვდით, ლაპარაკი აშშ-ის ლიგა MLS-ზეა.

ამრიგად, ტორსტენმა საბოლოო უარი თქვა ბუნდესლიგაზე, სადაც მას რამდენიმე გუნდი ეპატიჟებოდა, თუმცა მსურველებს შორის არც ერთი არ იყო მაღალი დონის კლუბი. ფრინგსი კარიერას „ტორონტოში" გააგრძელებს. დამთხვევა ნამდვილად არ არის ის, რომ „ტორონტო" **იურგენ კლინსმანის** ყოფილი გუნდია. კლინსი ახლა ამ გუნდის მრჩევლად მუშაობს და სწორედ მან ურჩია როგორც ტორონტოელებს, ისე ტორსტენ ფრინგსსაც, ამ კლუბში გადასვლა.

„ტორონტოს" ხელმძღვანელებს პირველად სწორედ კლინსმანის მეშვეობით დავუკავშირდი. იურგენმა ამ კლუბის შესახებ ბევრი კარგი რამ მიამბო. მასთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ თუ შევთანხმდებოდით, ამ ნაბიჯს აუცილებლად გადავდგამდი", - უთხრა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ფრინგსმა, რომელიც „ტორონტოში" **დანი კუვერმანსთან** ერთად ითამაშებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი, ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი **აარონ ვინტერია**, რომელიც ამბობს: *„ფრინგსისა და კუვერმანსის დარი ფეხბურთელების გადმობირებას დიდი ხანია ვცდილობთ და მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს მიზანს მივაღწიეთ."*

ფრინგსი არ მალავს, რომ ევროპაშიც ბევრი მსურველი ჰყავდა: *„ამერიკისა და ემირატების გარდა, არაერთი წინადადება მქონდა ევროპიდანაც. აქტიურობდნენ ბუნდესლიგური კლუბებიც. ზოგიერთი შემოთავაზება მართლაც ძალიან საინტერესო და სარფიანი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად „ტორონტოს" წინადადებამ გამაოცა."*

ტორსტენ ფრინგსი, რომელსაც „ვერდერის" ფორმით ბუნდესლიგაში 326 მატჩი აქვს ჩატარებული, „ტორონტოში" ოფიციალურად გუშინ წარადგინეს. კანადურ კლუბთან ტორსტენმა ორწლიანახევარიანი კონტრაქტი გააფორმა, მისი დებიუტი კი 21 ივლისს, „დალასთან" საშინაო მატჩში შედგება.

გოტფრიდ ლენცი

● ლევერკუზენი

ბალაკის ბოლო სეზონი?

მიხაელ ბალაკის კარიერა დასასრულს უიღბლოდ უახლოვდება

თუ სასწაული არ მოხდა, მიხაელს გაისად ლევერკუზენიდანაც გაუშვებენ

ორი აზრი არ არსებობს: **მიხაელ ბალაკს** საშინელი სეზონი ჰქონდა. 34 წლის ნახევარმცველმა ორი უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და ფაქტობრივად მთელი სეზონი გაუცდა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც სწორედ ამ ტრავმის გამო არ უთამაშია, ჯერ ნაკრების კაპიტნობა ჩამოართვეს, ახლა კი ბუნდესგუნდიდან საერთოდ მოკვეთეს. ვითომ, ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ბალაკის მდგომარეობა მხოლოდ მძიმდება.

„ლევერკუზენთან" მას კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და თუ კარიერის დამთავრება ჯერ არ უნდა, სწორედ მომავალ სეზონში უნდა დაამტკიცოს ის, რომ ჯერ კიდევ უმაღლეს დონეზე თამაშის ღირსია. წინაალმდეგ შემთხვევაში, მას არც „ლევერკუზენში" დატოვებენ და **ტორსტენ ფრინგსის** დარად, ან ამერიკაში ან სხვა, ვეტერანთა მორიგ თავშესაფარში წასვლა მოუწევს, ანაც - ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება. ფაქტი ის არის, რომ დღევანდელი გადასახედიდან, „ლევერკუზენის" ხელმძღვანელები მიხაელს ახალ ხელშეკრულებას არაფრის დიდებით არ გაუფორმებენ. თამამად უნდა ითქვას, რომ „ბაიერმა" ბალაკით ხეირი დღემდე ვერ ნახა. ცხადია, მიხაელის გადაბირებას არც სხვა რომელიმე გერმანული კლუბი მოისურვებს.

ერთი სიტყვით, მიხაელი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას: ნაკრებიდან ხომ ფაქტობრივად შერცხვენილი და შეურაცხყოფილი წავიდა და დიდი შანსია, ახლა ბუნდესლიგაშიც იგივე დაემართოს. ცხადია ისიც, რომ ბალაკი ძალიან მონდომებულია და აშკარად უნდა, რომ ყველას ყველაფერი დაუმტკიცოს. თანაც, მას უნდა, კიდევ ერთხელ გაიბრწყინოს ჩემპიონთა ლიგაში და მთელ საფეხბურთო ევროპას თავი შეახსენოს. არადა, „ლევერკუზენის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა საკმაოდ გაუჭირდება, რადგან **სიმონ როლფესის, არტურო ვიდალისა** და **ლარს ბენდერის** სახით ძალიან სერიოზული კონკურენტები ჰყავს. ამას იცის ემატება, რომ ლევერკუზენელთა ახალ დამრიგებელ **რობინ დუტს** არ უყვარს მუდმივად ერთი და იმავე შემადგენლობით თამაში, როტაციას ხშირად მიმართავს ხოლმე. ფეხბურთელებს კი სასტარტოში თამაშის გარანტიას არასდროს აძლევს...

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

კაიზერს მათეუსები მოენატრა

ბეკენბაუერი: ნუ სთხოვთ ლამს ეფენბერგობას!

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გამოარკვიეს, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელები ახალი სეზონისთვის კიდევ მხოლოდ ორი ფეხბურთელის შეძენას გეგმავენ. რეკორდმაისტერის სამიზნეები ამ ეტაპზე „მანჩესტერ სიტისა" და გერმანიის ნაკრების მცველი **ჟერომ ბოატენგი** და „ლევერკუზენის" საყრდენი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** არიან. „ბილდი" ირწმუნება, რომ პრეზიდენტი **ული ჰაინესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამ ტრანსფერების განხორციელების შემთხვევაში, სხვა მოთამაშეების შეძენაზე აღარ იზრუნებენ. ასეთი ტენდენცია კი აშკარად არ მოსწონს მიუნხენური გრანდის საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს**. „კაიზერი" აფასებს იმ მოთამაშეებს, რომლებიც „ბაიერნმა" აქამდე იყიდა (**რაფინია, ნილს პეტერსენი, მანუელ ნოიერი**) და ძალიან მოსწონს როგორც ბოატენგი, ასევე ვიდალიც, მაგრამ ბეკენბაუერი ისურვებდა, რომ „ბაიერნს" ეგრეთ წოდებული „აგრესიული ლიდერიც" ეყიდა.

„მხოლოდ ლაპარაკი საკმარისი არ არის. აშკარაა, რომ „ბაიერნს" ნამდვილი ლიდერიც სჭირდება. სწორად გამიგეთ, ამ განცხადებით ბასტიან შვაინშტაიგერისა და ფილიპ ლამის გაკრიტიკება სულაც არ მინდა. ისინი ძალიან კარგი ფეხბურთელები, „ბაიერნისთვის" ფასდაუდებელი მოთამაშეები არიან, მაგრამ ნამდვილი ლიდერობისთვის რაღაც არ ჰყოფნით, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მომავალ სეზონში ორივე მათგანმა შეძლოს ჩემ მიერ ნახსენები ლიდერის ფუნქციის შესრულება, - აცხადებს „კაიზერ-ფრანცი" „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *ბოლოს „ბაიერნში" ასეთი ფეხბურთელი მარკ ვან ბომელი იყო. შესაძლოა, ეს უკანასკნელი არ იყო მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველი, მაგრამ ლიდერის ფუნქციებს უზადოდ ასრულებდა".*

ბეკენბაუერი მიიჩნევს, რომ არასწორია, როცა **შვაინშტაიგერს** და **ლამს** აიძულებენ იმის გაკეთებას, რაც მათ არ შეუძლიათ და კაიზერი ამაში იმ ფუნქციას გულისხმობს, რომლის შესრულება ახლო წარსულში ერთადერთ ბაიერნელს, ვან ბომელს შეეძლო. *„არც ფილიპი და არც ბასტიანი არ არიან ისეთი ტიპები, როგორებიც ლოთარ მათეუსი ან შტეფან ეფენბერგი იყვნენ. ლამი ყოველთვის ლამი იქნება, მისგან ახალი ეფექტი გამოძერწვა შეუძლებელია. ვფიქრობ, ჩვენ უნდა მივიღოთ კაპიტნობის ისეთი სტილი, როგორიც ლამს აქვს",* - ამბობს ბეკენბაუერი.

სხვა მხრივ, რეკორდმაისტერის საპატიო პრეზიდენტი, **იუპ ჰაინკესის** განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელებით კმაყოფილია. კაიზერის აზრით, „ბაიერნი" კარგადაა დაკომპლექტებული და წესით, მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს.

გოტფრიდ ლენცი

ფრანც ბეკენბაუერი მიიჩნევს, რომ „ბაიერნს" ლოთარ მათეუსისნაირი ლიდერი აკლია

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ვოლფსბურგი კრისტიან ტრეშში 12 მილიონ ევროს იხდის

ტრეშში მგლებს მიუახლოვდა, ბობოც

მაგათს ფული ბევრი აქვს და რა ენაღვლება...

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან ტრეში** კარიერას „ვოლფსბურგში" გააგრძელებს. „კიკერის" ინფორმაციით, ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია და წინ აღარაფერი დაუდგება. 23 წლის ტრეშს, რომელსაც საყრდენი ნახევარმცველობის გარდა, დაცვაში თითქმის ყველა პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა, შვაბურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. „შტუტგარტის" ხელმძღვანელებმა მას ახალი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს, მაგრამ ტრეშმა ამაზე უარი განაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ შვაბები ვალდებულები არიან, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ახლავე გაყიდონ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის" მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** მზადაა, „შტუტგარტს" ტრეშის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ტრეშის გარდა, ვოლფსბურგელებს ახალი თავდამსხმელიც სურთ. თურქული და გერმანული პრესის ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ „მგლებმა" ბეშიქთაშის 26 წლის გოლეადორი **ბობო** გადაიბირონ, რომელსაც თურქულ გრანდთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაუგრძელებია.

გოტფრიდ ლენცი

● ამბები

ჯუმაა ჯაიზერსლაუტერნში

მას მერე, რაც გაირკვა, რომ **სრდიან ლაკიჩი** „ვოლფსბურგში" გადავიდოდა, „კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელები ახალ თავდამსხმელს ეძებდნენ და როგორც იქნა, მიაგნეს. გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში „ლაუტერნის" ღირსებას **დორგ კუემაა** დაიცავს. 28 წლის ცენტრფორვარდი გერმანულ კლუბში „ბრიუგედან" გადადის და პფალცელთა ღირსებას არენდის წესით ერთი წლის მანძილზე დაიცავს. აქვე გეტყვით, რომ კუემაა გერმანულ ფეხბურთს და გერმანიის ჩემპიონატს კარგად იცნობს. 2008/2009 წლების სეზონში ის მეორე ბუნდესლიგაში „დუისბურგის" ღირსებას იცავდა.

ბრუმაც ჰამბურგელია

მორრა, გადაწყდა: „ჰამბურგმა" ლონდონის „ჩელსიდან" კიდევ ერთი ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაიბირა. 19 წლის **ჯეფრი ბრუმა** „არისტოკრატებიდან" გერმანულ კლუბში ორწლიანი არენდით ითამაშებს. **გიოქჰან ტიორეს, ჯაკოპო სალას** და **მაიკლ მანსიენის** შემდეგ ის რიგით მეოთხე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელიც „ჩელსიდან" „ჰამბურგში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ლონდონურ კლუბთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობა „ჰამბურგის" ახალი სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** დამსახურებაა, ჩრდილოგერმანულ კლუბამდე სწორედ ლონდონური გრანდის სპორტული შეფი გახლდათ. ბრუმა ცენტრალური მცველია, გუშინ „ჰამბურგში" სამედიცინო შემონმება გაიარა, ახალ თანაგუნდელებს კი დღეს შეუერთდება.

გოტფრიდ ლენცი

უცხოური ფეხბურთი

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

A

არგენტინა

	ამპ	ას	თ	გ	კლ
1. ხუან პაბლო კარისო	მკ	27	12	0	რივერ პლეიტი
2. ესტებან გარაი	მც	24	3	0	რეალი
3. პაბლო საბალეტა	მც	26	11	0	სიტი
4. ნიკოლას გუარიტო	მც	30	40	2	რომა
5. ესტებან კამბიასო	ნბ	30	50	5	ინტერი
6. მაგარილ მილიტო	მც	30	38	1	ბარსელონა
7. ანხელ დი მარია	ნბ	23	20	3	რეალი
8. ხავიერ კანეტი	მც	37	141	5	ინტერი
9. გონსალო იგუაინი	შრ	23	13	7	რეალი
10. ლიონელ მესი	შრ	24	56	17	ბარსელონა
11. კარლოს ტევესი	შრ	27	59	13	სიტი
12. მარიანო ანდუხარი	მკ	27	6	0	კატანია
13. ნიკოლას პარეხა	მც	27	1	0	სპარტაკი
14. ხავიერ მასკერანო	ნბ	27	69	2	ბარსელონა
15. ლუკას ბილია	ნბ	25	4	0	ანდერლეხტი
16. სერხიო აგუერო	შრ	23	26	10	ატლეტიკო
17. მარკოს როხო	მც	21	4	0	სპარტაკი
18. ხავიერ პასტორე	ნბ	22	8	0	პალერმო
19. ევერ განგა	ნბ	23	9	0	ვალენსია
20. ფერნანდო გაგო	ნბ	25	31	0	რეალი
21. ესეკიელ ლავეზი	შრ	26	12	1	ნაპოლი
22. დიეგო მილიტო	შრ	32	24	4	ინტერი
23. სერხიო რომერო	მკ	24	17	0	ალმაარი

მთავარი მწვრთნელი: სერხიო გაჩისტა

კოლუმბია

	ამპ	ას	თ	გ	კლ
1. ხელსონ რამოსი	მკ	29	0	0	მილიონარიოსი
2. კრისტიან ასპრილა	მც	24	14	0	უდინეზე
3. მარიო ეიესი	მც	35	78	4	მილანი
4. გუსტავო გო�ტივარი	ნბ	26	2	0	ტოლიმა
5. ოულიან ანგი

COPA AMERICA ARGENTINA 2011

კოპა ამერიკა 2011

ვუყურეთ კოპას, ვიფიქროთ მუნდიალზე

დღეს, ლა პლატაში კოპა ამერიკა იწყება

ახლა, როცა ჩვენთან, დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროში ზაფხულის პაპანაქებაა და საფეხბურთო სეზონიც მიინავლა, პლანეტის საპირისპირო მხარეს სუსხიანი ზამთარი და იქაურთა საყვარელი ტურნირი, კოპა ამერიკა იწყება...

დღეს არგენტინაში პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პრესტიჟული ტურნირი, კოპა ამერიკა აიღებს სტარტს. 1-24 ივლისს არგენტინის 8 ქალაქში რიგით 43-ე (!) კოპა გაიმართება. არგენტინის ნაკრების მთავარი ისტორიული მეტოქე ბრაზილია იქ ჩემპიონის რანგში ჩადის. წლევანდელი კოპა ამერიკა 12-გუნდიანი ტურნირია, რომელშიც 10 სამხრეთამერიკული ნაკრების გარდა ორი გუნდი კონკაკაფს წარადგენს: მექსიკა და კოსტა-რიკა.

კონმებოლმა თავიდან ორი ქვეყანა, მექსიკა და იაპონია მიიწვია, თუმცა ევროპული ფეხბურთის მამების წინააღმდეგობას შეხვდა. უეფა ცდილობდა, რომ სხვა კონფედერაციის გუნდებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიეღოთ, მაგრამ შარშან მარტში კონკაკაფმა მექსიკას ნება დართო არგენტინაში ოლიმპიური ნაკრები გაეგზავნა, რომელშიც 5 „გადაზრდილი" ფეხბურთელი იქნება. უფრო რთულად იყო საქმე იაპონიის შემთხვევაში - მარტის მიწისძვრამ და ცუნამიმ ერთი ხანობა ეჭქვეშ დააყენა კოპა ამერიკაზე ამ ქვეყნის გუნდის მონაწილეობის პერსპექტივა. 16 მარტს მათ განაცხადეს, რომ არგენტინაში ჩავიდოდნენ, თუმცა 4 აპრილს იაპონელებმა ჯეილიგის კალენდრის არევა მოიმიზეზეს და განაცხადი ისევ უკან გამოიტანეს. 14 აპრილს იაპონიამ კვლავ შეცვალა გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ არგენტინაში ევროპელი ლეგიონერებით დაკომპლექტებულ გუნდს წაიყვანდა, მაგრამ მაისში ესეც გადათქვა, ახლა სწორედ ასეთი გუნდის შეგროვების სიძნელეები მოიმიზეზა. 17 მაისს კონმებოლმა პერსონალურად მიიწვია იაპონიის ნაკრების ნაცვლად კოსტა-რიკა და ცენტრალური ამერიკის ქვეყანა იმავე საღამოს დათანხმდა წინადადებას.

აღსანიშნავია, რომ მომავალი მუნდიალიც სამხრეთ ამერიკაში გაიმართება, ოღონდ ბრაზილიაში. ასე რომ, ამერიკული გუნდები კოპაზე მუნდიალის პროტოტიპ ნაკრებებს გამოიყვანენ და ეს ტურნირი ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა.

ქალაქები და სტადიონები

გახსნის მატჩს ლა პლატას „ესტადიო სიუდად დე ლა პლატა" უმასპინძლებს, რომელიც 36 ათას ადამიანს იტევს და სადაც „ესტუდიანტესი" და „ხიმნასია" თამაშობენ. ფინალი კი „რივერის" „ესტადიო მონუმენტალზე" გაიმართება ბუენოს-აირესში. ამ ორი ქალაქის გარდა კოპა სან-სალვადორ ხუხუიში, სალტაში, კორდობაში, მენდოსაში, სან-ხუანში და სანტა-ფეში გაიმართება.

ფორმატი

12 გუნდი 3 ჯგუფად არის გაყოფილი. ჯგუფებში გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები მეოთხედფინალში გადიან, ისევე როგორც, ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი.

A ჯგუფი

არგენტინა, კოლუმბია, კოსტა რიკა, ბოლივია

1 ივლისი	04:45	არგენტინა-ბოლივია	ლა პლატა
2 ივლისი	22:30	კოლუმბია-კოსტა რიკა	ხუხუი
6 ივლისი	04:45	არგენტინა-კოლუმბია	სანტა ფე
7 ივლისი	02:15	ბოლივია-კოსტა რიკა	ხუხუი
10 ივლისი	23:00	კოლუმბია-ბოლივია	სანტა ფე
11 ივლისი	04:45	არგენტინა-კოსტა რიკა	კორდობა

B ჯგუფი

ბრაზილია, პარაგვაი, ეკვადორი, ვენესუელა

3 ივლისი	23:00	ბრაზილია-ვენესუელა	ლა პლატა
3 ივლისი	01:30	პარაგვაი-ეკვადორი	სანტა ფე
9 ივლისი	23:00	ბრაზილია-პარაგვაი	კორდობა
9 ივლისი	01:30	ვენესუელა-ეკვადორი	სალტა
13 ივლისი	02:15	პარაგვაი-ვენესუელა	სალტა
13 ივლისი	04:45	ბრაზილია-ეკვადორი	კორდობა

C ჯგუფი

ურუგვაი, ჩილე, პერუ, მექსიკა

4 ივლისი	02:15	ურუგვაი-პერუ	სან ხუანი
4 ივლისი	04:45	ჩილე-მექსიკა	სან ხუანი
8 ივლისი	02:15	ურუგვაი-ჩილე	მენდოსა
8 ივლისი	04:45	პერუ-მექსიკა	მენდოსა
12 ივლისი	02:15	ჩილე-პერუ	მენდოსა
12 ივლისი	04:45	ურუგვაი-მექსიკა	ლა პლატა

მეოთხედფინალები კორდობაში, სანტა-ფეში, ლა-პლატაში და სან-ხუანში გაიმართება, ნახევარფინალები - ლა პლატასა და მენდოსაში, მატჩი მე-3 ადგილისთვის - ლა-პლატაში და მხოლოდ ფინალს უმასპინძლებს არგენტინის ეროვნული სტადიონი. გუნდები ისე არიან განაწილებულნი, რომ არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრები ფინალამდე ერთმანეთს არ შეხვდნენ (თუ ჯგუფიდან პირველ ან მეორეადგილოსნებად გავლენ). ტურნირის ოფიციალური სიმღერა **დიეგო ტორესის** „კრეო ენ ამერიკა" (მე მჯერა ამერიკის) იქნება, ხოლო **შაკირას** „რაბიოსა" - არაოფიციალური.

კოპა ამერიკა

ყველა პრიზიორი

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ხანა

წელი	ჩემპიონი	II ადგ.	III ადგ.
1916	ურუგვაი	არგენტინა	ბრაზილია
1917	ურუგვაი	არგენტინა	ბრაზილია
1919	ბრაზილია	ურუგვაი	არგენტინა
1920	ურუგვაი	არგენტინა	ბრაზილია
1921	არგენტინა	ბრაზილია	ურუგვაი
1922	ბრაზილია	პარაგვაი	ურუგვაი
1923	ურუგვაი	არგენტინა	პარაგვაი
1924	ურუგვაი	არგენტინა	პარაგვაი
1925	არგენტინა	ბრაზილია	პარაგვაი
1926	ურუგვაი	არგენტინა	ჩილე
1927	არგენტინა	ურუგვაი	პერუ
1929	არგენტინა	პარაგვაი	ურუგვაი
1935	ურუგვაი	არგენტინა	პერუ
1937	არგენტინა	ბრაზილია	ურუგვაი
1939	პერუ	ურუგვაი	პარაგვაი
1941	არგენტინა	ურუგვაი	ჩილე
1942	ურუგვაი	არგენტინა	ბრაზილია
1945	არგენტინა	ბრაზილია	ჩილე
1946	არგენტინა	ბრაზილია	პარაგვაი
1947	არგენტინა	პარაგვაი	ურუგვაი
1949	ბრაზილია	პარაგვაი	პერუ
1953	პარაგვაი	ბრაზილია	ურუგვაი
1955	არგენტინა	ჩილე	პერუ
1956	ურუგვაი	ჩილე	არგენტინა
1957	არგენტინა	ბრაზილია	ურუგვაი
1959	არგენტინა	ბრაზილია	პარაგვაი
1959 (II)	ურუგვაი	არგენტინა	ბრაზილია
1963	ბოლივია	პარაგვაი	არგენტინა
1967	ურუგვაი	არგენტინა	ჩილე

კოპა ამერიკას ხანა

1975	პერუ	კოლუმბია	ბრაზ./ურუგ.
1979	პარაგვაი	ჩილე	ბრაზილია/პერუ
1983	ურუგვაი	ბრაზილია	პარაგვაი/პერუ
1987	ურუგვაი	ჩილე	კოლუმბია
1989	ბრაზილია	ურუგვაი	არგენტინა
1991	არგენტინა	ბრაზილია	ჩილე
1993	არგენტინა	მექსიკა	კოლუმბია
1995	ურუგვაი	ბრაზილია	კოლუმბია
1997	ბრაზილია	ბოლივია	მექსიკა
1999	ბრაზილია	ურუგვაი	მექსიკა
2001	კოლუმბია	მექსიკა	ჰონდურასი
2004	ბრაზილია	არგენტინა	ურუგვაი
2007	ბრაზილია	არგენტინა	მექსიკა

არგენტინა და ურუგვაი 14-14-ჯერ გაჩემპიონდნენ, ბრაზილია - 8-ჯერ, პარაგვაი და პერუ - 2-2-ჯერ, კოლუმბია და პერუ - თითოჯერ.

გვერდი მოამზადა



● სამბო. ცვლილებები ფედერაციაში

თედიაშვილი და იაძე გადადგნენ

მოსახდენი მოხდა - დღეს თანამდებობიდან გადადგნენ საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან თედიაშვილი** და ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ იაძე**, რომელიც ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტობასაც ითავსებდა. ეს ცვლილებები სამბოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე მოხდა, თუმცა ხმები ამის შესახებ მას შემდეგ დაირხა, როცა საქართველოს ნაკრები 27-29 მაისს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს თასის მეორე ეტაპად წოდებულ „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თასზე" ხელისუფლების უწყმრად გამოვიდა. იქ წასასვლელად ჩვენებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო არ აფინანსებდა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ მოსკოვში საკუთარი ხარჯებით გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღო, ოღონდ ამის შესახებ სამინისტრო საქმის კურსში არ ჩააყენა. ზემდგომნიც პირველად ამის გამო განაწყენდნენ, ცეცხლზე ნავთის დასხმა კი თავად მოსკოვში, უშუალოდ შეჯიბრებაზე მოხდა - იქ ჩვენები მესამეზე გავიდნენ, დაჯილდოების ცერემონიაზე კი, რომელიც რუსეთის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, იაძეს თასი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა** გადასცა და ხელიც ჩამოართვა. წითელი ნაჭრის როლიც ამან შეასრულა - ხმები მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ნაკრების მოსკოვიდან დაბრუნებამდე დაირხა, დაბრუნების შემდეგ კი მწვრთნელის ბედი თედიაშვილმაც გაიზიარა.

ყრილობამ ფედერაციის პრეზიდენტად **თემურ გიორგაძე** აირჩია, რომელიც ქართული ჭიდაობის ფედერაციასაც ხელმძღვანელობს, პარალელურად კი სახელმწიფო სამსახურშიცაა - საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ზემოაღნიშნული ცვლილებები რეგლამენტის სრული დაცვით განხორციელდა, თუმცა იაძე არც უარყოფს, რომ მისი და თედიაშვილის გადადგომა სპორტის მინისტრის მოთხოვნა იყო. მისი თქმით, მინისტრს „არაკაცებმა არასწორი ხმები მიუტანეს" და მიზეზიც ეს იყო, თორემ მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ვარძელაშვილთან, ასევე - მის მოადგილეებთან. იაძე არ უარყოფს, რომ შეჯიბრებაზე წასვლის შესახებ ხელმძღვანელობისთვის უნდა ეცნობებინა, მაგრამ მიაჩნია, რომ ამის გამო გადაყენებას არ იმსახურებდა. ვფიქრობთ, იაძე რისკზე შეგნებულად წავიდა, რადგან არც შარშან გაუშვეს ამავე შეჯიბრებაზე, ამას კი რაც მოჰყვა, კარგად მოგეხსენებათ - რუსულმა მხარემ სამბოში მთელი თავისი გავლენა გამოიყენა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა კინაღამ ჩამოგვერთვა. სხვათა შორის, მაშინ ეს პრობლემაც იაძის მოსკოვში ჩასვლით მოგვარდა.

თემურ გიორგაძე

სამბოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი კი გაირკვა, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ღიად რჩება ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი. როგორც ამბობენ, ამ პოსტსაც გიორგაძე შეითავსებს. იაძეს ეეჭვება, რომ ის ამდენი საქმის გაძღოლას შეძლებს და ამბობს, რომ გიორგაძე ძალიან კარგს იზამს, თუ მწვრთნელად **ბადრი ჯანიაშვილს** ან **ემილ რაშს** მიიყვანს. შეგახსენებთ, რომ ორივე იაძის ფორმაციის სამწვრთნელო შტაბიდანაა - ჯანიაშვილი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია, რაში - ჭაბუკებისა. თავად იაძე მზადაა, ნაკრებს რიგით ჯარისკაცად ემსახუროს, თუ ახალი ხელმძღვანელობა ამას მოისურვებს; მისი გეგმები კი ისევ საქართველოს უკავშირდება. ის სამუშაოდ უცხოეთში წასვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ აქ გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას, მომავალში კი ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე აპირებს კენჭისყრას. „ნაკრების უმეტესობა ჩემი გაზრდილია და ახლა მეტი დრო მექნება მათთან სამუშაოდ. ამდენად, იქნებ ჩემი გათავისუფლება კარგიც იყოს, კარიერას კი ფედერაციის პრეზიდენტის რანგში დავასრულებ", - განაცხადა იაძემ.

ალბათ, არავინ შეგვედავება იმაში, რომ საქართველოში სამბო დღევანდლამდე იაძემ მოიტანა. იმ ძნელბედობის წლებში, როცა სპორტისთვის არავის ეცალა, იაძეს მართლაც რკინის ქალამნები ეცვა და ხან შიმშილობით, ხანაც სხვა სახის აქტივობებით აღწევდა ტურნირებზე წასასვლელად საჭირო დაფინანსების მიღებას.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. ნაკრები

შეცვლილ გეგმებით და გუნდით იაპონიაში

გუშინ დილით საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები იაპონიაში გაფრინდა, სადაც 23 ივლისამდე ერთობლივ შეკრებას გაივლის. ნაკრები იქ 18 ივნისს უნდა წასულიყო, მაგრამ მას შემდეგ ერთობლივი ვარჯიშების გამართვის თარიღის გარდა კიდევ ბევრი რამე შეიცვალა. უპირველესად, იქ წასაყვანი გუნდის შემადგენლობა - ადრე გამოცხადებული 16 სპორტსმენის ნაცვლად, ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** 10 ძიუდოისტი იახლა. მთავარი სიახლეც შემადგენლობაშია - ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მწვრთნელმა გუნდში კვლავ დააბრუნა მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი, მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანი**. ბოლო ორი თვეა, ის ინტენსიურად ვარჯიშობს და 15 კილოგრამიც დაიკლო. ამ პერიოდში, ვიდრე ის არ ვარჯიშობდა, მძიმე წონაში მწვრთნელებმა რამდენიმე კანდიდატი გამოცადეს, მაგრამ დამაიმედებელი შედეგები ვერავინ აჩვენა. ნურავის ეწყინება, მაგრამ ოლიმპიურ ჩემპიონ **დავით ხახალეიშვილის** სპორტიდან წასვლის შემდეგ ამ ზეპრესტიჟულ წონაში საერთაშორისო არენაზე მედლის მოპოვების უფრო რეალური კანდიდატი არც გვყოლია - გუჯეჯიანს ნებისმიერი რანგის ტურნირზე შეუძლია მედლის მოტანა.

ლაშა გუჯეჯიანი (მარცხნივ)

გუჯეჯიანის გარდა, იაპონურ შეკრებაზე **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, დავით ასუმბანი** (ორივე - 66), **თენგიზ პაპოშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) წავიდნენ. ზაიზენბახერმა ადრე გამოცხადებული შემადგენლობიდან **ამბაკო ავალიანი** (73), **ლევან წიკლაური, გიორგი ბაინდურაშვილი** (ორივე - 81), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (+100) ამოაგდო. ამის მიზეზს ვერ გეტყვით - ტრავმა არც ერთს არ აქვს და მწვრთნელი მათი ამჟამინდელი მომზადებით იყო უკმაყოფილო, საბოლოოდ გადაუწურა აგვისტოში პარიზში, მსოფლიოს პირველობაზე წაასვლის შანსი თუ პირიქით - მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე მათი მომზადება საკმარისია და დამატებითი წვრთნები არ სჭირდებათ (თუმცა მეეჭვება, ჩვენი ძიუდოისტები ჯერ ამ დონეზე იყვნენ), ვერ გეტყვით. ამის შესახებ გადაჭრით არც ფედერაციაში იციან რამე.

შეიცვალა ერთობლივი შეკრებების ჩატარების ადგილი - ძირითადი ნაწილი კვლავაც ტოკაის უნივერსიტეტში გაიმართება, კოქშიგანის უნივერსიტეტი კი გეგმიდან ამოვარდა. მის ნაცვლად ჩვენები 10 დღით ტოკიოში, ოლიმპიური მზადების ცენტრში მოემზადებიან, სადაც იაპონიის ეროვნული ნაკრებიც იქნება.

ადრინდელისგან განსხვავებით, ზაიზენბახერმა თბილისში დარჩენილთათვისაც საგანგებოდ მოიცალა. მან დატოვა იგივე პროგრამა, რომლითაც თვითონ ამზადებდა ნაკრებს - დილით სირბილი, რასაც პერიოდულად ტრენაჟორების დარბაზი და შტანგებიც შეენაცვლება, საღამოს კი ლეიბზე ვარჯიში, ოღონდ სიახლე ისაა, რომ ამ პროგრამის შესრულებაზე მეთვალყურეობა ამჯერად ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ **გიორგი ალექსიძეს** სთხოვა. უცხოეთში წასვლისას ზაიზენბახერის სადარდელი მუდამ ის იყო, რომ აქ დარჩენილები ისე არ ვარჯიშობდნენ, როგორც - მისი მეთვალყურეობით და ასეთ რადიკალურ ზომას ამიტომაც მიმართა. უშუალოდ სავარჯიშო პროცესს **ივერი ჯიქურაული** მიხედავს, რომელსაც **გიორგი მგელაძე** დაეხმარება.

ნაკრები იაპონიაში 23 ივლისამდე დარჩება, მერე კი სამშობლოში დაბრუნდება და აქ გააგრძელებს მზადებას. წასვლის წინ ფედერაციამ საგანგებოდ გააფრთხილა ბიჭები, რომ იაპონიაში ყოფნისას განუხრელად დაიცვან სპორტული რეჟიმი, დისციპლინა; და რომ ქურდობის შემთხვევაში დანდობა არ იქნება. ძალზე სამწუხაროა, როცა ნაკრების წევრებს ეს მარტივი ჭეშმარიტება უნდა შეახსენო, მაგრამ ფაქტია - გუნდში ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს.

ირაკლი თავაძე

● სინქრონული ცურვა

იყო დრო, საქართველოში სინქრონული ცურვა წარმატებულ სახეობად მიიჩნეოდა. ჯგუფურ ვარჯიშში ქართველ სპორტსმენებს საკავშირო ჩემპიონატში საპრიზო ადგილიც დაუკავებიათ, ოთხმოციანი წლების მიწურულს **ქრისტინა ფალასანიდისა** და **ნინო მაისურაძის** დუეტმა დონეცკში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა. მერე ქრისტინა ათენში გადავიდა საცხოვრებლად და ოლიმპიურ თამაშებშიც მოსინჯა ძალები.

1991 წელს **ლიკა ბოკერიამ** და **ტატიანა პლატონოვამ** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე მე-5 ადგილი დაიკავეს, 1994 წელს კი ჩვენმა გოგონებმა რუსეთის დედაქალაქში იუნიორთა ევროპის პირველობაზე იასპარეზეს.

მას შემდეგ საქართველოში სინქრონული ცურვის ჭაჭანებაც არ ყოფილა. მწვრთნელთა უმეტესობა უცხოეთში წავიდა სამუშაოდ, მათ შორის - საბჭოთა კავშირის პრიზიორი **ნინო ლომოური,** რომელიც დიდი ხანია, სალონიკში ცხოვრობს და იქაურებს ავარჯიშებს, მათ შორის საკუთარ ქალიშვილს - **ქრისტინე ბოჭორიშვილს.** ამ უკანასკნელმა ნლეულს ლუქსემბურგის საერთაშორისო ტურნირზე 1993 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა შორის 71,1925 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. სწორედ ამ ასაკში გუშინ ქრისტინე ბოჭორიშვილი (1995 წელსაა დაბადებული) ბელგრადში საქართველოს სახელით იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში პირველად ჩაება. სოლოში მედლების 18 მაძიებელს შორის საკვალიფიკაციო ეტაპზე 76,6700 ქულით (ტექნიკაში-38.2500, არტისტიკაში-38.4200) მე-10 ადგილზე გავიდა. დაწინაურდა რუსი **ვლადა ჩიგირინოვა** (91.9200), მეორე-მესამე ადგილებს **ანასტასია სავჩუკი** (უკრაინა, 87.2000) და **ლინდა კერუტი** (იტალია, 87.1000) ინაწილებენ.

ასპარეზობის მონაწილენი დღეს ფინალურებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს და ამის შემდეგ გამოვლინდება 12 ფინალისტი, რომლებიც კვირას მედლებისთვის იბრძოლებენ.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

ნაზი ნელი ნაბიჯებით

ბულგარულ ალბენაში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. გუშინ მე-6 ტურში სუსტად ითამაშა **ნაზი პაიკიძემ**, რომელიც გერმანელ **ფარუკ ოსმანოვიჩს** დაუზავდა, არადა, ვალდებული იყო მოეგო, რადგან უტიტულო მეტოქეს რეიტინგში მთელი 315 პუნქტით უსწრებს. რაც შეეხება ლიდერთა პაექრობას, აქაც ყაიმზე შეთანხმდნენ: ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)-მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი), მომჩილ ნიკოლოვი (ბულგარეთი)-კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი), პეტარ არნაუდოვი (ბულგარეთი)-ალექსანდერ დელჩევი (ბულგარეთი), ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი)-დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა). 6 ტურის შემდეგ როდშტეინს 5,5 ქულა აქვს, ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები 14-მა მოჭადრაკემ მოაგროვა. პაიკიძემ 3,5 ქულას მოუყარა თავი და დღეს ისევ უტიტულო **ნედელჩო დიჩევს** (ბულგარეთი) შეხვდება.

ვაჟა დანელია

ვაფი და ისეკი ლიდერობენ

კონიაში გრძელდება თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, 12 ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. გუშინ მესამე ტურის პაექრობები გაიმართა. გაცნობებთ მათ შედეგებს:

„ტარსუს ზეკა სანტრაჩი"-„გაზი უნივერსიტესი" 4,5:5,5 (მიხეილ მჭედლიშვილი-კაიდო კულაოტსი 0,5:0,5, ლუკა პაიჭაძე-ილია ნიფნიკი 0,5:0,5), **„თურქ ჰავა ვოლარი"-„მერსინ ეგზი"** 3:7 (მერაბ გაგუნაშვილი-ნიჯათ მამედოვი 0,5:0,5, სალომე მელია-ადრიანა ნიკოლოვა 0,5:0,5), **„ბეშიქთაში"-„ვაფი კრედი სფორი"** 2,5:7,5 (კუბრა ოზთურქი-ბელა ხოტენაშვილი 0:1), **„ბურსა"-„დენიზ გენჩლიკი"** 5:5 (სოფიო გვეტაძე-ნარმინ კაზიმოვა 1:0), **„ვეჩილკოვ სფორი"-„იზეკ აქუამატჩი"** 4,5:5,5 (დავით არუთინიანი-რუსტამ კასიმჟანოვი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-დიტერ-ლივიუ ნისიპიანუ 0:1, ომერ აფიონგუ-ლევან ფანცულაია 0:1), **„ადანა"-„მანიშა"** 5:5 (ნანა ძაგნიძე-ანა უშენინა 0,5:0,5), **„ისტანბული"-„ჩელიკოლი"** 7:3 (მარტა ფიერო-სოფიო გურამიშვილი 1:0).

სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულით (მოგება-2, ფრე-1, ნაგება-0 ქულა) ვაფი კრედი სფორი (ქულათა საერთო ჯამი - 21,5) და ისეკ აქუამატჩი (19) ლიდერობენ, 5-5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს მანიშა (18) და ადანა (16,5) ინაწილებენ. ქართველთაგან ჯერჯერობით უდანაკარგოდ **ბელა ხოტენაშვილი** და **ლევან ფანცულაია** თამაშობენ.

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ფინტი, 5. ვოლანი, 6. გურია, 9. აძღა, 10. აშვეთია, 11. ფარი, 14. ვაზარი, 15. გარსია, 17. ათჭიდი, 18. ექთანი, 19. დანი, 20. ქიში, 25. გეორ, 26. ჰეინესი, 27. უშბა, 31. ისინდი, 32. აკვრა, 33. ათენი.

შვეულად: 1. „ანცი", 2. მაია", 3. ფინიში, 4. „პუმა", 5. „ვარძია", 7. აზარტი, 8. „ბაია", 12. არადანი, 13. ბარქაია, 14. ვიალი, 16. აკინო, 21. ღერძი, 22. კეიდია, 23. ოსლო, 24. რბენა, 28. ძაგნიძე, 29. სოკი, 30. ერეი.

● მხატვრული ტანვარჯიში

სალომე ფაჟავას სტამბოლური ტრიუმფი


სალომე ფაჟავა

თურქეთის ქალაქ სტამბოლში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე „ისტამბულ კაპ“ , წარმატებით იასპარეზა „ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემია და სპორტული კლუბი გრაციას“ ტანმოვარჯიშე **სალომე ფაჟავამ,** რომელმაც იუნიორთა ასპარეზობაში ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა.

სალომე ოთხივე საგნით (ბურთი, ბაფთა, რგოლი, გურზები) ვარჯიშში საუკეთესო იყო და, შესაბამისად, მრავალჭიდშიც პირველობა არავის დაუთმო. ჩვენმა ტანმოვარჯიშემ უკრაინელ **ეკატერინა ზაიცევას** და თურქ **ბასაკ ერტიკინს** ორ ქულაზე მეტი მოუგო, რაც ასეთი რანგის ტურნირებში საკმაოდ დიდი სხვაობაა. მათ გარდა სალომე ფაჟავას პირველობას ეცილებოდნენ, ბულგარელი, რუსი, აზერბაიჯანელი, ბელარუსი, სირიელი, მოლდოველი, რუმინელი და სხვა (სულ 12 ქვეყანა) ძლიერი სატანვარჯიშო სკოლის სპორტსმენები.

„ჩემთვის სიხარული და სიამაყის გრძნობა, მრავალი წლის მანძილზე, არაერთხელ მოუტანიათ ჩვენ ტანმოვარჯიშეებს, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებით ჩაიწერა მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში. სტამბოლში გამართულმა ტურნირმა დამიბრუნა ოდინდელი ემოციების შეგრძნება.

ცხადია, სალომე ფაჟავას მიერ მაღალი ქულებით მოპოვებული გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ როცა გულშემატკივრების რჩეული ხდები, სულ სხვაა. თავად განსაჯეთ, მსაჯებიც კი, შეფასების შემდეგ, ტაშს უკრავდნენ ქართველ სპორტსმენს. ეს უკვე სხვა განზომილების წარმატებაა.

მეამაყება, რომ ჩვენს გულშემატკივრებს სიხარული მოვუტანეთ. მინდა მივულოცო ეს წარმატება ჩვენი აკადემიის მწვრთნელებს, წარსულში სახელოვან ტანმოვარჯიშეებს, ელისო ბედოშვილს, ინგა სააკაშვილს, ლალი დოლიძეს, ნინო თევზაძეს, რომლებიც წარმატებულად შრომობენ. ამასთან, ვუსურვებ, რომ მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატზე, სადაც იუნიორები ინდივიდუალური პროგრამით გამოვლენ, ჩვენი ქვეყნის სახელით ღირსეულად იასპარეზონ“, - თქვა „მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიისა და სპორტული კლუბ გრაციას“ პრეზიდენტმა **ნელი სალაძემ.**

ბესიკ ჯანგავაძე

● ჩოგბურთი

მაინც ორშაბათს დაველოდოთ

21 წლის **ანა ტატიშვილს** (118) კარიერის საუკეთესო ხანა უდგას - უიმბლდონის ტურნირზე ერთი ეტაპის გავლის შემდეგ, ჩვენმა თანამემამულემ არც იტალიაში შერიცხვინა თავი, სადაც ქალაქ კუნეოს „ბანკა რეგიონალე ეუროპეას“ საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია, ხოლო ანა განთესილთა შორის ვერ მოხვდა. პირველ წრეში ის 24 წლის მასპინძელ **კარინ კნაპს** (251) შეხვდა. კნაპი, იყო დრო, ელიტის წევრი გახლდათ (მსოფლიოს 35-ე ჩოგნობამდე აღზევდა) და არც ახლა აქვს მის კარიერას ხაზი გადასმული (სწორედ ქართველთან მატჩის დღეს გახდა 24 წლის), თუმცა კუნეოში მოსახვედრად „უაილდ ქარდი“ დასჭირდა. მომქანცველი ორთაბრძოლა იტალიურ თიხნარზე ტატიშვილმა მოიგო სამ სეტში - 6:3, 4:6, 7:6 (3).

მერვედფინალში ჩვენებურს მე-8 ნომრად განთესილი ბელარუსი **ანასტასია იაკიმოვა** (100) გადაეყარა. ანამ ფავორიტს ძალიან იოლად, 6:2, 6:2 მოუგო და ბრძოლას აგრძელებს. ქართველმა ჩოგბურთელმა უკვე დაიბევა 36 სარეიტინგო ქულა. ჩვენი გამოთვლით, ეს მას ასეულში შესასვლელად ჰყოფნის, თუმცა მაინც დაველოდოთ ორშაბათს და რეიტინგ-ლისტის ოფიციალურ გამოქვეყნებას. მეოთხედფინალში ტატიშვილის მეტოქე 25 წლის ფრანგი **პოლინ პარმენტიეა** (74), რომელიც კუნეოში მესამე ნომრად არის განთესილი. მოგების შემთხვევაში ანა 70 ქულას დაიბევებს.

ესპანურ პოსობლანკოში (50 ათასი დოლარი) ქართულ მერვედფინალს ამაოდ ველოდით, ორი ჩვენებურიდან პირველი წრე მხოლოდ ერთმა გადალახა: **მაკა ჩახნაშვილმა** (237) მე-7 ნომრად განთესილ ბრიტანელ **ნაომი ბროდის** (213) მოუგო - 3:6, 6:1, 6:2. სამწუხაროდ, **სოფიო შაფათავა** (292) ფრანგ **ვიქტორია ლარიერთან** (342) დამარცხდა - 3:6, 6:4, 3:6. ახლა ჩახნაშვილს ლარიერთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

ფრანგულ დენაინში (25 ათასი) **სოფიო ქვაცაბაიამ** (406) პირველ წრეში გერმანელ **ანე შეფერთან** (360) წააგო - 6:7 (5), 6:7 (3). იზმირში (10 ათასი) **ნათია გეგიამ** (ურეიტინგო) სომეხ **ანი ამირალიანთან** (862) დათმო - 4:6, 2:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ანა ტატიშვილი
მიხეილ ქორქიას ფოტო



თვალდასადები

თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელი - გიორგი ჭილაია

თითქოს გუშინ იყო, ფეხსა და ბურთს შორის ნაპერწკლებს რომ აჩენდა. დღეს კი მომავალი „დინამოელების“ წარმატებებით ხარობს. თავს ევლება მათ და მის თვალწინ განვლილი წლების კადრები ჩნდება. თავის მართლაც კურიოზულ ამბებსაც სიამოვნებით იხსენებს ვალმოხდილი გიორგი ჭილაია.

მეგრელი ხარ, წიე?

მართლაც რა ულმობელია დრო. გუშინდელივით მახსოვს, როგორ მივედი 9-10 წლის ბიჭი ნორჩ დინამოელში.

მახსოვს, ჩემი ტოლი ბიჭების რიგი იდგა შერჩევაზე. ღვაწლმოსილი მწვრთნელი გაგუა არჩევდა მომავალ „ვარსკვლავებს“. დიდი იმედი არ მქონდა და მარტოდმარტო, მშობლების გარეშე მივედი სპორტულ „კასტინგზე“.

ამათვალიერ-ჩამათვალიერა გაგუამ. გარეგნული მონაცემები აშკარად მოეწონა. კიდევ ერთხელ ამხედ-დამხედა და:

- რა გქვია ბიჭიკო? - მეკითხება.

- გიორგი.

- სახელი მებრძოლის აქვს, - გადახედა „კომისიის წევრებს“, - სააკაძის სეხნიაა, არ შეიძლება არ ივარგოს. გვარი?

- ჭილაია - ვთქვი მორცხვად.

- ა, ბატონო, გვარიც ხომ ჰქონია და ჰქონია... არ უნდა ამას გასინჯვა ივარგებს ეს... გილოცავ, შვილო, მიღებული ხარ...

იმ ღამეს „წვეთი“ არ მიძინია. ხუმრობა ხომ არ იყო? მე დამწყები „დინამოელი“ ვარ! ჩემი „ნათლია“ კი ფეხბურთის ვირტუოზი გაგუაა!..,

ტაქსი... ტაქსი...

რაც 1981 წელს მოხდა, ჩემი განმარტება არ სჭირდება: „დინამომ“ მტრის ჯინაზე სანუკვარი თასი აიღო; გააბრუა, გადარია და გადაათრო მთელი საქართველო იმ ღამეს. მე ამ მატჩის გმირი არ ვყოფილვარ, მაგრამ „დინამოს“ სიხარულს გამარჯვების ადგილზე ვიზიარებდი. ორლიტრიანი იყო თასის მფლობელთა თასი - მოცულობით. მატჩის შემდეგ ყველამ შევსვით იმ თასიდან ჩვენებური, დალოცვილი სითხე (წაღებული გვქონდა). მკითხველს უნდა განვუმარტო, რომ ყველამ თანაბრად ვერ „ჩამოცალა“. აქ კი დატრიალდა და რა დატრიალდა...

- ყველამ ბოლომდე! - ვყვირით ისინი, ვისაც უკვე დალეული გვაქვს.

შეიძლება უბადლო ფეხბურთელი იყო, მაგრამ სმა, როგორც ასეთი, მაშინ და ახლაც ორ-სამ კაცს შეგვეძლო.

ერთმა (გვარი არაა საჭირო) - წრუწუნას მონდომებით მიიყვანა ნახევრამდე ეს თასი... ერთი კი დაასლოკინა საეჭვოდ. მეტი არაო - უსიტყვოდ და უმწეოდ გააანია ხელი. ახლა, მართლა ხომ არ დავახრჩობდით იმ უბედურს? ჩამოვართვით ის თასი და სხვას გადავეცით.

ამ უბედურმა ერთი სამჯერ კიდევ დაასლოკინა ზედიზედ, მერე მოულოდნელად დასცხა - ერთხელაც დაასლოკინა და გაექანა იქვე მდებარე აუზისკენ - უნდა გადავხტე და გავგრილდეო. გამოვეკიდეთ, მაგრამ შესაშური სიჩქარით გარბის. არადა ვიცოდით, რომ ის პიროვნება მუდამ თავით ხტებოდა წყალში. პირდაპირ აუზის კიდესთან წამოვწიეთ, ნახევრად რომ ჩაიმუხლა და თავით რომ უნდა გადაშვებულიყო - იმ დროს გავაკავეთ.

აშკარა სიკვდილს გადავარჩინეთ.

არ თქვათ ახლა, გადამხტარიყო და გაგრილებულიყო - რა მოხდებოდა, გაგრილდებოდა და გამოფხიზლდებოდაო.

კარგი რა... სამი მეტრი სიღრმის (სიმაღლის, ამ შემთხვევაში) აუზი სულ ცარიელი იყო...

ნაკლები არც მე მომსვლია. ამხელა თასდაცლილმა, კაცი რომ გადავარჩინე, გამოვედი ქუჩაში და - ტაქსი, ტაქსი! - ავუწიე ხელი მანქანას. ტაქსიმ ფეხებთან დამიმუხრუჭა.

- აგაშენა ღმერთმა, - მხარზე ხელი მოვუთათუნე მძღოლს, მიდი, რა, პეკინზე შეუბერე, ჯიგარ!

ცოლი ბიჭო, გრამიტონა!

ერთი ჩვენი ტანმაღალი ფეხბურთელი (გვარი არც ახლა „მახსენდება“) კი მსმელი, კაი მჭამელი, კაი დამრტყმელი და საერთოდ - მაგარი იყო. ერთი ნაკლი ჰქონდა - უცოლო იყო და დედამისმა მე მთხოვა - გიორგი, შვილო, იქნებ ვინმე აურჩიო, დააქორწინო, დავბერდი, რძალი მჭირდებაო.

დავპირდი ქალბატონს და სიტყვას ხომ არ გავტეხდი; შევურჩიე ერთი, მართლაც ძალიან კარგი გოგო (ჩემი ახლობლის ნათესავი) და როგორც იტყვიან, ერთ დღეს „კასტუმ შარვალ-გალსტუკში“ ჩაწკვართულები გავეშურეთ სარძლო ობიექტის „გადასანახულებლად“. ჯერ არ იცის, სად მიმყავს. მანქანა რომ დავქოქე და ქალაქის ორომტრიალს შევრია, მკითხა:

- სად მივდივართ, აღარ მეტყვი?

- კაი პონტში, სიმონ, - გამოვცვალე სიჩქარე.

ამას ასეთი დევიზი ჰქონდა: „დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ყანნი - ყველას მირჩევნია!“ მოკლედ, მივედით. „გოგოაანთ“ მშვენიერი საკუთარი ეზო-კარი აქვთ. გამოგვეგება სასიმამრო „ჯიგარი კაცი“ და მაგარი თბილისელი - მოდით, თქვენ შემოგევლეთო. მერე სახლში შეგვიპატიჟა და შევყევით. სარძლო, როგორც ჩვენშია მიღებული, ჯერ არ ჩანს... „იპუწკება“.

- აბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ. ᲚᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ

ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ საქართველოს ნაკრების რამდენიმე კანდიდატს შეგახვედრეთ. დღეს ეროვნული გუნდის მორიგ კალათბურთელს წარმოგიდგენთ, თუმცა **ლაშა გამყრელიძეს** ჩვენი წარდგენა ნაკლებად სჭირდება, რადგან მას საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი 2005 წლიდან იცნობს.

იგი 1986 წელს დაბადებულთა იმ თაობის წარმომადგენელია, 2004 წელს ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე რომ ითამაშა, ხოლო 2006 წელს ახალგაზრდებს შორის B დივიზიონი მოიგო. 2003-04 წლების სეზონში ლაშას „დინამოში“ სრული ნდობა გამოუცხადა **დრაჟენ ბრაიკოვიჩმა**, რომელიც პარალელურად ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელიც იყო. თუმცაღა ხორვატმა სპეციალისტმა ეროვნულ გუნდში მხოლოდ 2004 წელს იმუშავა და მომდევნო წელს გამყრელიძე ნაკრებში პირველად კანადელმა სპეციალისტმა **გორდონ ჰერბერტმა** მიიწვია. ვერ ვიტყვით, რომ სანაკრებო დებიუტი წარმატებული იყო, რადგან ლაშას რთულ პერიოდში მოუწია ეროვნულში კარიერის დაწყება - ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილი იყო, ფინეთისა და მაკედონიის წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. მაგალითად, ფინეთში, გადამწყვეტ მატჩში მასპინძლებმა გუნდის ლიდერები რომ გადაკეტეს, გამყრელიძეს უწევდა სამქულიანების სროლა, თუმცა არაზუსტად... მას მერე ლაშამ დაუღალავი ვარჯიშის წყალობით სათამაშო ხარისხი კიდევ უფრო გაიუმჯობესა და მართალია, ლიდერი არც დღესაა, მაგრამ იმავე სამქულიანი ტყორცნებით არაერთხელ დაგვამახსოვრა თავი. მაგალითად, იმავე ფინეთთან, 2007 წელს ბოლოსწინა წუთზე მნიშვნელოვანი შორეული სროლა გამოიყენა და ის მატჩი ერთი ქულის სხვაობით მოვიგეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს 2009 წელს ბელარუსთან სტუმრად ჩაგდებული მნიშვნელოვანი ტყორცნები, რამაც მეტოქე გუნდის მწვრთნელი **ალექსანდრ პაპკოვი** გააკვირვა: მეგონა საქართველოს ნაკრები კარგად მყავდა შესწავლილი, მაგრამ სათადარიგო უკანახაზელებმა გეგმები ამირიეს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენს დამარცხებაშიო.

სადღეისოდ ლაშა გამყრელიძე სათადარიგო გამთამაშებელია, თუმცა 15-20 წუთი მუდმივად თამაშობს. ტემპის მომატება როცა სჭირდება, მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** პირველ რიგში №4-ზე ფიქრობს...

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრებში მოთამაშე 55 კალათბურთელს შორის ლაშა მეექვსეა ჩატარებული მატჩების მიხედვით - 30.

■ ■ ■

აქამდე იგი კლუბებში რეგულარულად ასპაეზობდა და წამყვან როლსაც ასრულებდა, თუმცა გასულ სეზონში გამყრელიძეს საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც სურდა და სეზონის მეორე ნახევარში ბევრიც გაუცდა (ზოგი ტრავმის, ზოგი მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო). ლაშას სანაკრებო მზადებისას კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოუწევს, რათა წარუმატებელმა საკლუბო სეზონმა მის სანაკრებო გამოსვლაზე გავლენა არ მოახდინოს.

მწვრთნელის ფაქტორის გამო 183 სმ სიმაღლის ქართველი გამთამაშებელი გერმანულ „გისენში“ დაბრუნებას არ აპირებდა, მაგრამ მოხდა საინტერესო ამბავი...

- გუნდის მთავარი მწვრთნელი კიდევ ერთხელ შეიცვალა, - გვითხრა ლაშამ, - „გისენის“ თავკაცის პოსტზე დაინიშნა ბიორნ ჰარმსენი, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. 2009 წელს „მიტელდოიჩერში“ სწორედ მან მიმიწვია. ამ გუნდში კარგი სეზონი მქონდა.

- გამოდის, რომ „გისენში“ დაბრუნება გამორიცხული არ არის?

- ვფიქრობ, აღარ დავბრუნდები. გუნდმა ლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნა და არა მგონია, გაისად დიდი მიზნები დაისახოს. ჩემი მენეჯერი ახალ კლუბზე მუშაობს, მინდა ისეთ გუნდში ვითამაშო, შედარებით მაღალი მიზნები რომ ექნება, ან თუნდაც ევროჩელენჯზე იასპარეზებს.

- მენეჯერი გერმანულ ვარიანტზე მუშაობს?

- ამ ქვეყანაში დაბრუნება კარგი ვარიანტი იქნება, რადგან ჯერ ერთი, მაღალი დონის ჩემპიონატია - ევროლიგის და ევროთასის მონაწილე ძლიერი კოლექტივების წინააღმდეგ გვიწევს თამაში. და მეორეც: ევროპულ კალათბურთში არასახარბიელო ფინანსური ფონია, ავიღოთ თუნდაც ბერძნული კლუბები - ყველა კრიზისშია. გერმანიაში კი გუნდის დაშლისა და გაკოტრების შანსი ნულამდეა დაყვანილი, რადგან იქ ასეთ შემთხვევაში კლუბზე სახელმწიფო ზრუნავს.

- ევროჩელენჯზე მოთამაშე ქართული გუნდებიდან ხომ არ მიგიღია მოწვევა?

- არა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის მოუმართავს.

- სანაკრებოდ უკვე ემზადები?

- თვე-ნახევარია „დინამოს“ ბაზაზე ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, რაშიც დავით თორთლაძე მეხმარება. პირველი ივლისიდან კი თბილისში მყოფ ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მწვრთნელის, ავთო ბერიძის ხელმძღვანელობით ფიზმომზადებას გავივლი. ვფიქრობ, შეკრების დაწყების ოფიციალურ დღეს, 24 ივლისს ნორმალურ კონდიციებში შევხვდები.

- 12 საკონტროლო მატჩის ჩატარება მოგიწევთ...

- ვფიქრობ, მოსამზადებელი გეგმა კარგადაა გათვლილი და თუ ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა, ევროპის ჩემპიონატისთვის ფორმაშიც ვიქნებით და შეთამაშების პრობლემაც არ გვექნება.

- ნაკრების მეტოქე კალათბურთელებიდან ვინმეს ხომ არ იცნობ?

- ჩემს თანაგუნდელ კაშიროვს ჰქონდა რუსეთის ნაკრებში გამოძახების იმედი, მაგრამ, დევიდ ბლატმა სიაში არ შეიყვანა. არადა, კაშიროვი ძლიერი მოთამაშეა, გუნდის ლიდერი იყო. წამყვან ევროპულ კლუბებში მოასპარეზე მეტოქეებზეც მაქვს წარმოდგენა. თვალს ვადევნებდი „კანტუში“ მანუჩარ მარკოიშვილის ბელგიელი თანაგუნდელის ჯონათან ტაბუს გამოსვლას. იგი ბევრს არ თამაშობდა, თუმცა გუნდის სქემებში კარგად იჯდა. კლუბი ერთია, მაგრამ შესაძლოა, ტაბუს, ან სხვა რომელიმე კალათბურთელს ნაკრებში მეტი დატვირთვა ჰქონდეს...

- ლიტვაში საქართველოს ნაკრების წარმატება რაზე იქნება დამოკიდებული?

- უამრავ ფაქტორზე, რომელთაგანაც ორს გამოვარჩევ - ფსიქოლოგიურსა და ფიზიკურ მომზადებას. ბელგიელებმა შარშან ორჯერ მოგვიგეს, მაგრამ ლიტვაში შესაძლოა ჩვენ ვაჯობოთ, მაგრამ მხოლოდ პირველი მატჩი ბევრს არაფერს წყვეტს, საჭიროა, ბოლო თამაშებსაც ენერგიულად და ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული შევხვდეთ.

ლაშა გამყრელიძე

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 16-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲙᲐᲓᲔᲯᲗᲐ ᲝᲥᲠᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

ᲖᲐᲖᲐ-ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 72:75

24:16, 20:16, 16:23, 12:20

ზაზა: კიკნაველიძე (14ქ, 5ჩ, 3პ), გორდულაძე (10ქ, 3ჩ, 9პ), კაჯაევი (7ქ), პულუზაშვილი (17ქ, 14მ, 7დ), მჭედლიძე (10ქ, 5მ), ცხვარიაშვილი, შეყილაძე (5ქ, 5მ), კენჭიაშვილი (9ქ, 7მ).

რუსთავი: დვალი (6ქ, 3ჩ, 5პ), ქიტოშვილი (19ქ, 10მ, 4პ, 3ჩ), ლორთქიფანიძე (12ქ), ხატიაშვილი (9ქ), ნარჩომაშვილი (22ქ, 21მ), ურიდია (7ქ, 13მ, 4პ).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-ᲖᲐᲖᲐ 80:51

22:6, 22:18, 21:12, 15:15

რუსთავი: დვალი (23ქ, 8მ, 4პ), ქიტოშვილი (12ქ, 6მ, 10პ), სანაია, თაყაიშვილი, ლორთქიფანიძე (15ქ, 3პ), ხატიაშვილი (8ქ), ნარჩომაშვილი (16ქ, 13მ), ურიდია (2ქ, 15მ), ღვედიაშვილი (2ქ, 7მ), მანგოშვილი (2ქ), რეხვიაშვილი.

ზაზა: კიკნაველიძე (4ქ, 5მ), გორდულაძე (16ქ, 4პ), კაჯაევი, პულუზაშვილი (4ქ, 5მ), მჭედლიძე (7ქ), ცხვარიაშვილი (2ქ), შეყილაძე (1ქ, 6მ), კენჭიაშვილი (15ქ, 2დ), მარკოზაშვილი (2ქ), დევსურაშვილი, კრავეიშვილი, გეგელიძე.

დრამატულად განვითარდა მოვლენები საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ სერიაში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ „რუსთავი“ და „ზაზა“. სერიის პირველი შეხვედრა რუსთავში გაიმართა და „ზაზას“ ცხრაქულიანი გამარჯვებით დასრულდა - 81:72. ამ თამაშის შემდეგ ფავორიტის სტატუსით თბილისელი კალათბურთელები სარგებლობდნენ...

სტატუსს ამართლებდნენ კიდეც მეორე მატჩის საწყისი 30 წუთის განმავლობაში - მეოთხე პერიოდის წინ 60:55-ს იგებდნენ და ჩემპიონობასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოლო რაუნდში რუსთაველებმა თამაში შემოატრიალეს, 75:72 იმარჯვეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს.

მათგან საუკეთესო იყო **ნარჩომაშვილი,** რომლის ორმაგ დუბლს მეტად ეფექტური „იერი“ ჰქონდა - 22 ქულა, 21 მოხსნა. სამმაგ დუბლამდე სამი დაფარება დააკლდა „ზაზასა“ და კადეტთა ნაკრების კალათბურთელს **პულუზაშვილს**: 17 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება.

ასე და ამგვარად, გადამწყვეტი, მესამე მატჩი (სერია ორ მოგებამდე იყო) რუსთავში გაიმართა. ბევრი, ალბათ, კვლავ თანაბარ თამაშს ელოდა, თუმცა მასპინძლები პირველივე მეოთხედში დიდი სხვაობით დაწინაურდნენ, უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და ჩემპიონებიც გახდნენ.

რუსთაველმა ნარჩომაშვილმა ამჯერედაც ორმაგი დუბლი მიითვალა (16 ქულა, 13 მოხსნა). გამარჯვებაში არანაკლები წვლილი შეიტანეს **დვალმა** და **ქიტოშვილმა**. პირველმა 23 ქულა ჩააგდო, მეორემ 12 ქულას 10 პასი წაუმატა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე და მესამე მატჩებში „ზაზას“ აკლდა ლიდერი **აბულაძე**. იგი რუსთავში გამართული პირველი მატჩის შემდეგ გაფრინდა იტალიაში, სადაც რომში მიმდინარე 16-წლამდე ასაკის კალათბურთელთა კემპში მონაწილეობს.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

● ᲓᲘᲓᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡᲗᲐᲜ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲨᲘ

დაიბადა: 1998 წლის 19 აგვისტოს, თბილისში
სიმაღლე: 176 სმ.
წონა: 55 კგ.
სწავლობს 53-ე სკოლაში
კალათბურთის თამაში დაიწყო ხათუნა გაბედავას ხელმძღვანელობით „მართვეში“. ამჟამადაც ეს მწვრთნელი ავარჯიშებს, თუმცა გუნდს სახელი შეეცვალა და „ავერსი“ ეწოდა.
მიღწევები: 2010 წელს მოიგო ზურაბ საკანდელიძის სახელობის თასი და დასახელდა ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად.
ᲰᲝᲑᲘ: კალათბურთი

● მსოფლიოს თასი

პირველი ნაბიჯები ახალი ზელანდიისკენ

მზადებას 32 ბორჯღალოსანი დაიწყებს

საქართველოს მორაგებთა ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას 4 ივლისს თბილისში დაიწყებს. „ბორჯღალოსანთა" შოტლანდიელმა თავკაცმა **რიჩი დიქსონმა** უკვე შეარჩია ის 32 მორაგბე, ვინც საწვრთნელ შეკრებაზე გამოიძახა. მათგან დიქსონი იმ 30 მოთამაშეს, რომლებიც ახალზელანდიაში გაემგზავრებიან, აგვისტოში გამოავლენს.

ამჟამინდელ გუნდში ვერ მოხვდნენ ვეტერანები, მესამეხაზელი **გია ლაბაძე** და ფულბეკი **ბესიკ ხამაშურიძე.** ამასთან, ნაკრებში სამი ახალწვეულია. ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ,** მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** და მესამეხაზელმა **გივი ბერიშვილმა** ბუქარესტში გამართულ IRB-ს ერთა თასზე თავი დადებითად წარმოაჩინეს და დიქსონმა ისინი საწვრთნელ შეკრებაზე გამოიძახა.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენი ის მორაგბეები, რომლებიც გაფართოებულ, 45-კაციან განაცხადში იყვნენ დასახელებულნი, რეზერვად მოიაზრებიან და მზადებას ინდივიდუალური პროგრამით განაგრძობენ, რათა საჭიროების შემთხვევაში გუნდს შეუერთდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები" თბილისში ორი კვირა დარჩებიან და ძირითადად ფიზიკური კონდიციების დახვეწაზე იზრუნებენ. ამის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდი გეზს საფრანგეთისკენ აიღებს, სადაც ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე ივარჯიშებენ. საქართველოს ნაკრები იქვე, აგვისტოში რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრას გამართავს საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდებთან.

ჩვენ ეროვნულ გუნდს ახალ ზელანდიაში პირველი სერიოზული გამოცდა 14 სექტემბერს ექნება. ინვერქარგილში, ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში, „ბორჯღალოსნები" შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

№15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

მსოფლიოს თასი

B ჯგუფი

14 სექტემბერი

საქართველო-შოტლანდია

18 სექტემბერი

საქართველო-ინგლისი

28 სექტემბერი

საქართველო-რუმინეთი

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

ბესიკ ჯანგავაძე

● საქართველოს ჩემპიონატი

აია სრული სვლით

აია	17
არმია	15

აია : (15-9) ხამაშურიძე, ჩხიკვაძე, ი.გიორგაძე (ძნელაძე),სინაურიძე, აბრამიძე, შარვაშიძე, გოგია. (1-8) ლომიძე (მატკავა), გურეშიძე, ჩხიკვაძე (ლომიძე), მეტრეველი, შალამბერიძე, რევიშვილი, ცირეკიძე, თხელიძე

ლ: ლომიძე, 4ს: სინაურიძე

სინბინი: გოგია.

არმია: (15-9) ბ.კობახიძე, ტუჩაშვილი, ბაირამაშვილი (ნუცუბიძე), მჭედლიძე, ხარაზიშვილი(კ.კობახიძე),ელიზბარაშვილი,სამხარაძე, (1-8) კაკოვანი (ცაბაძე), ბრეგვაძე, ნავროზაშვილი (ჭავჭავაძე), ცხადაძე, კიკვიძე, კალმახელიძე, ბიწაძე (მორჩაძე), დარასელია,

5ს: ბ.კობახიძე

სინბინი: ტუჩაშვილი

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

ქუთაისის „აია" წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს. კარგ ფორმაში მყოფი ქუთათურების ძლევამოსილი სვლა მათმა უშუალო კონკურენტმა „არმიამაც" ვერ შეაჩერა. **ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** გაწვრთნილმა გუნდმა შვიდიდან შვიდივე შეხვედრა მოიგო და რეგულარულ ჩემპიონატს ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.

„აიას" საკუთარი სტადიონი არ გააჩნია და საშინაო მატჩებს მალთაყვის სტადიონზე მართავს. მიუხედავად ამისა, ქუთათურები გულშემატკივართა სიმცირეს არ უჩივიან. ახლაც, მსუბუქი ავტომანქანებითა და მერიის მიერ გამოყოფილი ავტობუსებით, საკუთარი გუნდის საქომაგოდ ფოთში სამასამდე გულშემატკივარი ჩავიდა. „არმიის" საქომაგოდ კი სენაკის სამხედრო ბაზის თითქმის მთელი შემადგენლობა ჩაიყვანეს და მალთაყვის უტრიბუნო მოედანიც მთლიანად მაყურებელთა რკალში მოექცა.

თამაშმა ქომაგთა იმედები სრულებით გაამართლა. შეხვედრა დაძაბული და კარგი სანახავი გამოდგა. გუნდები უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ, ანგარიში მე-6 წუთზე საჯარიმო დარტყმით ქუთაისელმა **გაგა სინაურიძემ** გახსნა. თუმცა არმიელებმა **ბახვა კობახიძის** უზადო დარტყმით მალევე გაათანაბრეს 3:3 და მცირედი სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს. ქუთათურები კიდევ ორჯერ დაჯარიმდნენ და კობახიძემ ორივეჯერ ზუსტად დაარტყა 3:9.

ანგარიშში ჩამორჩენას „მასპინძლების იერიშები მოჰყვა. ქუთათურები მოლით მიაწვნენ და სტუმრებმა რევიშვილი ზედ ჩათვლის ხაზთან შეაჩერეს, თუმცა რიონისპირელებმა იქვე დაიბრუნეს ბურთი, შემდეგ ათმეტრიან დერეფანში აუტი მოიგეს, მოლით მიაწვნენ და **თორნიკე ლომიძეს** ლელო გაატანინეს. სინაურიძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა - 8:9.

ქუთაისელებს ზეიმი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ კობახიძემ კიდევ ერთი საჯარიმო გამოიყენა და სხვაობა გაზარდა - 8:12. ტაიმის ბოლო წუთები „არმიისთვის" არასახარბიელოდ წარიმართა. ჯერ იყო და **ლაშა ბაირამაშვილმა** ორთაბრძოლისას ფეხი მოიტეხა და სასწრაფოთი წასაყვანი გახდა, შემდეგ კი სინაურიძემ ჯარიმა გაიტანა და ანგარიში ერთ ქულამდე შეამცირა - 11:12

მეორე ტაიმი წვიმის ფონზე წარიმართა. კობახიძემ თითქმის შეხვედრის განახლებისთანავე კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა - 11:15 და უპირატესობაც „არმიის მხარეს გადავიდა. სტუმრები ორჯერ ლელოს დადებასთანაც ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ ქუთათურები დაცვაში უდრეკად იდგნენ და ორივეჯერ ზედ ჩათვლის ხაზთან ჩაშალეს არმიელთა მასობრივი შეტევა. აღარც ბახვა კობახიძეს წაუვიდა დარტყმები, მორიგი ორი ჯარიმისას მას მიზანმა უმტყუნა. შეცვლაზე შემოსულმა ვეტერანმა **ლევან ცაბაძემ** კი ტრავმა მიიღო და მალევე გახდა შესაცვლელი.

ამასობაში კი „აია" კარგად ათამაშდა. სინაურიძემ ანგარიში საჯარიმო დარტყმით ჯერ კიდევ 45 წუთზე შეამცირა, 14:15, 78-ე წუთზე კი მორიგი და როგორ აღმოჩნდა გამარჯვების მომტანი ჯარიმაც გაიტანა - 17:15. ბოლო წუთებში არმია ბევრს ეცადა, რომ კაცნაკლული „აიასთვის" **(ლევან გოგია** გაასინბინეს) გასაღები მოეძებნა, მაგრამ ქუთათურები კვლავ კარგად იცავდნენ თავიანთ ლელოს. სტუმრებს კვლავ ჯარიმიდან მიეცათ შეხვედრის მოგების შანსი, მაგრამ **კახა კობახიძემ** საკმაოდ შორი მანძილიდან, თანაც მახვილი კუთხიდან ზუსტად ვერ დაარტყა. მალე ნარიმანიძემ საფინალო ნიშანიც მისცა და ქუთათურებმა ძალიან გაიხარეს. გულშემატკივრებმა მოედანზე შეცვივდნენ და „აიას" ამარჯვება მიულოცეს.

დავით კოხრეიძე

ფოთიდან

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.აია	7	7	0	0	+97	14
2.არმია	7	4	1	2	+19	9
3.აკადემია	7	3	2	2	+8	8
4.ლელო	7	4	0	3	+36	8
5.ლოკომოტივი	7	4	0	3	+22	8
6.არმაზი	7	2	1	4	-31	5
7.ხარები	6	1	0	5	-66	2
8.ყოჩები	6	0	0	6	-85	0

ავტორის ფოტო

დერეფანში გელა შალამბერიძე დომინირებდა

● მეტოქეები

კალენდარი ჩვენთვის ხელსაყრელია

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, შოტლანდიის ნაკრების ინგლისელმა თავკაცმა **ენდი რობინსონმა** ახლახან გამოაცხადა, რომ მისთვის უკვე ცნობილია იმ 25 მორაგბის ვინაობა, ვინც გუნდის 30-კაციან განაცხადში აუცილებლად მოხვდება.

„ნარშავები" მსოფლიო თასისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ და დარჩენილი ხუთი ადგილის დასაკავებლად 15 მორაგბე „იბრძოლებს". რობინსონი 2003 წლის მსოფლიო თასზე, როცა ინგლისის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა, ამ გუნდის შერკინების მნვრთნელი იყო, შესაბამისად ის დიდი გამოცდილების სპეციალისტია და „სკტების" ქომაგებს იმედი აქვთ, ენდი არჩევანში არ შეცდება.

შოტლანდიის ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადების გეგმით აგვისტოში ირლანდიის ნაკრებს ორჯერ დაუპირისპირდება და რობინსონი მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადებს ნაკრების სრულ შემადგენლობას. „ნარშავები" მზადების ბოლო ეტაპს ავსტრალიაში გაივლიან. 10 სექტემბერს კი ინვერცარგილში რუმინეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

„მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირზე საწყისი ორი შეხვედრა მოკლე ვადებში გვაქვს. რუმნეთთან მატჩის შემდეგ ოთხ დღეში საქართველოს ნაკრებს ვეთამაშებით. ორივე მატჩი, ისევე როგორც დანარჩენი შეხვედრები ძალიან მძიმე იქნება. ეს ორი თამაში ჯგუფის ფავორიტებთან საასპარეზოდ მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ.

ვფიქრობ, კალენდარი ჩვენთვის უაღრესად ხელსაყრელია. ქართველებთან მატჩის შემდეგ, არგენტინის ეროვნულ გუნდთან თამაშამდე, ათდღიანი შუალედი გვაქვს, რაც საშუალებას მოგვცემს კარგად დავისვენოთ, ძალები აღვიდგინოთ და არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ." - თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდიის ნაკრები

უკანა ხაზი: ჯო ენსბრო (ნორსჰემპთონი), მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, ნიკ დე ლუკა, გრეგ ლაიდლოუ, კრის პატერსონი (ყველა-ედინბურგი), კრის კასიტერი, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრემ მორისონი (სამივე-გლაზგო), ჯეკ კაობერტი (ბასი), საიმონ დენიელი (ალსტერი), რორი ლამონტი (ტულონი), შონ ლამონტი (ჰლანეჰლი), რორი ლოუსონი (გლოსტერი), დენ პარქსი (კარდიფი), ჰუგო საუთვილი (სტად ფრანსე), ნიკი ვოლკერი (ოსფრიზი).

შერკინება: ჯონ ბარკლი, ჯონ ბითი, რეი გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰარლი, ალისტერ კელოკი, ფერგიუს თომსონი, რიჩი ვერნონი, მურეი ლოუ (ყველა-გლაზგო), კელი ბრაუნი (სარასენზი), გოფ კროსი, დევიდ დენტონი, როს ფორდი, ალენ იაკობსენის, როს რენი (ყველა-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი, ჯიმი ჰემილთონი, სკოტ ლაუსონი, ალასდაირ სტროკოში (ოთხივე-გლოსტერი), ევან მურეი (ნიუკასლი), ნათან ჰაინსი (ლენსტერი).

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

ანტონის ფოცისი

რა ხდება ევროპაში

გრძელდება კრიზისი საბერძნეთში და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგიდან კალათბურთელები გარბიან. ევროლიგის ჩემპიონის „პანათინაიკოსის“ კიდევ ერთი ლიდერი, ამერიკელი სნაიპერი **დრიუ ნიკოლასი** მოლაპარაკებებს ანარმოებს იტალიის „მონტეპასკისთან“.

როგორც ჩანს, მომავალ სეზონს ევროპის საუკეთესო კლუბი მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით შეხვდება. ასევე ცნობილი ხდება, რომ „პაოს“ ფორვარდი **ანტონის ფოცისი**, სავარაუდოდ, „ბარსელონაში“ გააგრძელებს კარიერას. ესპანური პრესის ცნობით, ბერძენი ვარსკვლავი მომავალ კვირას კატალონიელებთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ესპანელთა რიგებში ფოცისი გუნდიდან წასულ **ტერენს მორისს** შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ ანტონისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში ბარსელონაში გამართული „ოთხთა ფინალის“ დროს, რომელიც ბერძნების ტრიუმფით დასრულდა.

აქვე „მონტეპასკის“ დავუბრუნდეთ - გუშინ, მან ოფიციალურად გაიფორმა **დევიდ ანდერსენი**.

■ ■ ■

როგორც ზემოთ ვახსენეთ, „გალათასარაი“ **ტრეისი მაკგრეიდის** ეპატიჟება. არავინ იცის, შედეგება თუ არა ეს უცნაური გარიგება, სამაგიეროდ, თურქულმა კლუბმა თითქმის მოაგვარა ფრანგი მცველის **ნანდო დე კოლოს** ტრანსფერის საკითხი. ეს კალათბურთელი გასულ სეზონში ესპანურ ლიგაში „ვალენსიას“ ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

ამასობაში, „პანათინაიკოსის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა ალექსანდრ გომელსკის** სახელობის პრიზი მიიღო, რომელიც ევროლიგის საუკეთესო მწვრთნელს გადაეცემა, - წერს ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი.

სწორედ ამ სერბმა სპეციალისტმა მიიყვანა „პანათინაიკოსი“ მთავარ ევროპულ ტრიუმფამდე. ეს „პაოს“ მეხუთე გამარჯვებაა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, თანაც ყველა ტრიუმფი 2000 წლის შემდეგ არის მიღწეული.

წელს ამ ნომინაციაში ობრადოვიჩის კონკურენტები იყვნენ „მაკაბისა“ და „მონტეპასკის“ დამრიგებელები - **დევიდ ბლატი** და **სიმონე პიანინჯანი**.

მაკგრეიდი თურქეთში, არტესტი... ფინეთში

რონ არტესტის უცნაურობები გრძელდება. როგორც იცით, „ლეიკერსის“ კალათბურთელმა სახელისა და გვარის შეცვლა გადაწყვიტა და ზამთრიდან მას **მეტა უორლდ პისი** ერქმევა. მან კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა თავის ფანებს - არტესტი ლოკაუტის შემთხვევაში ფინეთის ჩემპიონატში აპირებს თამაშს.

ეს ამბავი უსწრაფესად აიტაცა ჩრდილოამერიკულმა მასმედიამ და ახლა ყურადღებას აღარავინ აქცევს არტესტის აგენტის **დევიდ ბაუმანის** უარყოფის სიტყვებს. საინტერესოა, რა უბიძგებს ამერიკელ კალათბურთელებს ფინეთისკენ. ჯერ **სკოტი პიპენი**, ახლა რონ არტესტი!

სხვათა შორის, იმავე აგენტმა ბაუმანმა „ლოს-ანჯელეს ტაიმსისთვის“ კომენტარში აღიარა, რომ მისმა კლიენტმა მართლაც სთხოვა NBA-ში გაფიცვის შემთხვევაში კარიერის გაგრძელების ევროპული ვარიანტებს შესნავლა.

საით წავა რონ არტესტი?

■ ■ ■

უფრო ახლოს არის სიმართლესთან თურქეთის „გალათასარაის“ ინტერესი NBA-ის ყოფილი ვარსკვლავის **ტრეისი მაკგრეიდის** მიმართ.

ბოლო სეზონები ტი-მაკისთვის არც ისე წარმატებული იყო - ტრავმების გამო ის აღარ მიიჩნევა ლიგის სუპერვარსკვლავად, თუმცა ძველი სიდიადე შემორჩა და თან ასე თუ ისე ნორმალურად ითამაშა ბოლო სეზონში „დეტროიტ პისტონზის“ შემადგენლობაში.

ესპანური AS და თურქული Fanatik იტყობინებიან იმის შესახებ, რომ „გალათასარაი“ მზად არის კალათბურთელთან მოსალაპარაკებლად. როგორც ირკვევა, თურქული მხარის შეთავაზება უფრო სარფიანია, ვიდრე მაკგრეიდის დღევანდელი ხელფასი NBA-ში - წელიწადში 1.35 მილიონი დოლარი.

NBA-ის ვეტერანი ვარსკვლავების თურქეთში გამგზავრება აღარ გვიკვირს - შარშან ამ ქვეყანაში თამაშობდა **ალენ აივერსონი**.

გაღამწყვეტი დღე

მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გამართეს NBA-ის კალათბურთელებმა და კლუბების მფლობელებმა. მხარეები ცდილობენ დროულად მოაწერონ ხელი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას და თავიდან აიცილონ ახალ სეზონში ლოკაუტი.

ხელის ჩამორთმევამდე ჯერ ადრეა

ახალი შეხვედრა გუშინ, გვიან ღამით უნდა გამართულიყო. სწორედ ეს გახლდათ კონსენსუსის მიღწევის ბოლო შესაძლებლობა, რადგან წინა კოლექტიურ ხელშეკრულებას ვადა სწორედ 30 ივლისს გასდის.

თუმცა ESPN-ის ცნობით მხარეები ჯერ ძალიან შორს არიან კომპრომისამდე. აღსანიშნავია, რომ აგერ უკვე ერთი თვეა, კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირი კვირაში ორ შეხვედრას მართავენ. შესაძლებელია მოლაპარაკებების გაგრძელება წინა კოლექტიური ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, მაგრამ მაშინ ერთ-ერთ მხარეს, სავარაუდოდ კლუბების მფლობელებს, სერიოზულ დათმობებზე მოუწევთ წასვლა. თუ არა, ისინი გამოაცხადებენ ლოკაუტს - პირველად 1998-99 წლების სეზონის შემდეგ.

● ველოსპორტი

იტალიელი ყაზახეთში

იტალიაში ანტისადოპინგო წესების გამკაცრებას პროტესტს უცხადებს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ველომრბოლი **ალესანდრო პეტაკი**. მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც სექტემბერში დანიის ქალაქ კოპენჰაგენში გაიმართება, 37 წლის მრბოლელი ყაზახეთის სახელით გამოსვლას აპირებს.

ასე რეაგირებს პეტაკი იტალიის ფედერაციის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც ეროვნულ გუნდში გამოსვლა აეკრძალათ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც აკრძალული პრეპარატის მიღებისთვის დისკვალიფიკაცია მოიხადეს.

„შემიძლია მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე სხვა ქვეყნის სახელით იტალიის წინააღმდეგ გამოვიდე. ეს ყველაფერი ძალიან არ მომწონს, მაგრამ იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ უცნაურად მოისურვა პროფესიონალი სპორტსმენების დასჯა და სხვა გზა არ დაგვიტოვა“, - ასე ახსნა ცნობილმა სპრინტერმა თავისი გადაწყვეტილება.

პეტაკი დოპინგის მიღებაში 2007 წელს გამოიჭირეს - მაშინ მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი სალბუტამოლი აღმოაჩინეს და ამის გამო ორი წლით დასაჯეს.

იტალიაში მიღებული ახალი წესების თანახმად, ეროვნულ გუნდში პეტაკის გარდა ასევე ვერ შეძლებენ გამოსვლას ცნობილი მრბოლელები - **ივან ბასო**, **დანილო დი ლუკა**, **მიკელე სკარპონი** და **სტეფანო გარცელი**.

ალესანდრო პეტაკი

● ახალი ამბები

იგუოდალაზე დიდი მოთხოვნაა

ამერიკულ პრესაში გაჩნდა „ფილადელფია სიქსერზის“ ლიდერის **ანდრე იგუოდალას** გაცვლის მორიგი ვარიანტი. ამჯერად, გაზეთი „ნიუ იორკ პოსტი“ მას „ლეიკერსში“ უშვებს. საპირისპირო მიმართულებით უნდა გაემგზავრონ **ლამარ ოდომი** და **ლიუკ უოლსტონი**.

კალიფორნიული კლუბისთვის ძალიან კარგი ვარიანტია, ისევე როგორც კალათბურთელისთვის, რომელიც ბედნიერი იქნება მშობლიურ ქალაქში თამაშით, თანაც ასეთ გრანდში. მაგრამ ამასთან, „სიქსერზის“ ხელმძღვანელობა არ ივიწყებს ლოს-ანჯელესის მეორე კლუბის - „კლიპერსის“ ვარიანტს, რადგან ძალიან მოსწონს **კრის კამანის** 12-მილიონიანი კონტრაქტი, რომელსაც ერთი წლის შემდეგ ეწურება ვადა. როგორც უნდა უმძიმდეს იგუოდალასთან განშორება, სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვა „ფილადელფიას“ სჭირდება.

■ ■ ■

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ შეინარჩუნებს ტრავმებით განამებულ ცენტრ **გრეგ ოდენს**. კლუბმა ახალგაზრდა კალათბურთელს კვალიფიციური წინადადება შესთავაზა - 8.8 მილიონი დოლარი წელიწადში.

ასე რომ, ახლა ოდენი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტია და მის ამჟამინდელ კლუბს შეუძლია გაიმეოროს ნებისმიერი წინადადება, რომელსაც ცენტრი სხვა გუნდებისგან მიიღებს. ამ შემთხვევაში გრეგი „პორტლენდს“ დარჩება.

23 წლის ოდენს გასულ სეზონში არ უთამაშია მარცხენა მუხლის ტრავმის გამო. გარდა ამისა, მარჯვენა მუხლზე პრობლემების მიზეზით გამოტოვა სადებიუტო სეზონი (2007-08). სულ ორი წლის განმავლობაში მან მხოლოდ 82 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.4 ქულა და 7.3 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„მილუოკის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოიყენოს თავისი ერთ-ერთი ლიდერის - **ბრენდონ ჯენინგსის** კონტრაქტში არსებული პუნქტი და გააგრძელოს მასთან ხელშეკრულება. იგივე არ გააკეთა კლუბმა ფორვარდ **ლარი სანდერსთან** მიმართებაში.

ჯენინგსის ახალი ხელშეკრულება ერთ წელზეა გათვლილი. გასულ სეზონში ჯენინგსი საშუალოდ 16.2 ქულას, 4.8 პასს, 3.7 მოხსნასა და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. ბრენდონი 2009 წლის დრაფტის მეათე ნომერია.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტმა“ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბის ერთ-ერთ ნამყვან მოთამაშესთან - **სტივენ კერისთან**. გასულ სეზონში საშუალოდ მატჩში მცველის მონაგარი იყო 18.6 ქულა, 5.8 პასი და 3.9 მოხსნა.

კალათბურთელმა ჯერ ბოლომდე ვერ მოირჩინა ფეხის ტრავმა, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის მწყობრში უნდა ჩადგეს. ასევე „უორიორზმა“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა ფორვარდ **ეკპე უდოსთან**.

■ ■ ■

„დალასის“ მცველი და წლევანდელი პლეი ოფის ერთ-ერთი გმირი **ხოსე ხუან ბარეა** სამშობლოში, პუერტო რიკოში ისვენებს. იქ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მავერიქსში“ დარჩენის დიდი სურვილი აქვს (ამ ზაფხულს ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება), თუმცა არსებობს კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში და თქვენ წარმოიდგინეთ, მაიამიშიც კი.

■ ■ ■

„კლივლენდის“ ძირითადი გამთამაშებელი **ბაირონ დევისი** UCLA-ის უნივერსიტეტში დაბრუნდა, ოღონდ არა სათამაშოდ, არამედ სწავლის დასასრულებლად. ალბათ, ვეტერანი ვარსკვლავი სწორად იქცევა. წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად აყვანილი **კაირი ირვინგის** (ისიც გამთამაშებელია) გადამკიდე, მას სწავლისთვის საკმარისზე მეტი დრო დარჩება.

■ ■ ■

წარსულში ცნობილი ფორვარდი, დღეს უმუშევარი **ანტუან უოკერი** სასამართლომ დამნაშავედ ცნო ყალბი საკრედიტო ქვითრების საქმეში. „მაიამის“ შემადგენლობაში 2006 წლის ჩემპიონი ლას-ვეგასის კაზინოში ცდილობდა 750 ათასი დოლარის სანაცვლოდ გაენაღდებინა საექვო წარმოშობის ქვითრები. სწორედ ამ ოდენობის ვალი ჰქონდა აღნიშნულ კაზინოში კალათბურთელს.

ახლა, „ბოსტონის“ ყოფილ ლიდერს ოთხწლიანი პატიმრობა ემუქრება. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება და უოკერს ჯარიმას, პირობით სასჯელს ან რაიმე საზოგადოებრივ სამუშაოს დაუწესებენ, მაგრამ ის კი ცნობილი გახდა, რატომ სურს მას ასე დაუინებით კარიერის განახლება - ვალები აქვს!

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი

იაგრი შინ დაბრუნდა

ახალგაზრდა იაგრი პიტსბურგში

პრაქტიკულად გადაწყვეტილია ლეგენდარული ჩეხი ფორვარდის **იარომირ იაგრის** „პიტსბურგში" გადასვლა. თავდამსხმელი 10-ნლიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება კლუბში, სადაც 11 ბრწყინვალე სეზონი გაატარა. მომავალ სეზონში იაგრი 1.4 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. კონტრაქტი ერთნლიანია. ოფიციალურად გარიგების შესახებ ლეს გამოცხადდება, როცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნება.

ეს ინფორმაცია ამერიკულ პრესაში გუშინ გავრცელდა. ჰოკეისტის აგენტისგან **პეტრ სვობოდასგან** ცნობილი გახდა, რომ 39 წლის იაგრი ამერიკაში გაემგზავრა, რათა პირადად მოაწეროს ხელი კონტრაქტს.

„ის „პიტსბურგის" სიმბოლო იყო. და დიდი იმედი გვაქვს, რომ თამაშს ჩვენს ქალაქში დაასრულებს", - ამბობს „პინგვინზის" გენერალური მენეჯერი **რეი შერო**.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში იაგრმა 1273 მატჩი ჩაატარა და 1599 ქულა დააგროვა (მეცხრე შედეგი ლიგის ისტორიაში). ჩეხის ანგარიშზე 646 შაიბა მოდის. თუ ის მომავალ რეგულარულში 47 - შედეგიანი გადაცემის შესრულებას შეძლებს (საუკეთესო წლებში ეს მაჩვენებელი 87 გადაცემამდე ადიოდა), ის „ათასიანთა" არაოფიციალურ კლუბში გაწევრდება.

სტენლის თასის გათამაშებაში იაგრი ასევე ქულაზე მეტს აგროვებდა საშუალოდ მატჩში. 169 შეხვედრაში მისი მონაგარი 77 შაიბაა. „პიტსბურგთან" ერთად ის NHL-ში თავის პირველ ორ სეზონში (1991, 1992) ორჯერ გახდა სტენლის თასის მფლობელი - მაშინ იუნიორი ჩეხი ლეგენდარული **მარიო ლემიეს** მხარდამხარ თამაშობდა. „პინგვინზში" გატარებული 11 სეზონის შემდეგ იაგრი თავიდან „ვაშინგტონში" გადავიდა, შემდეგ „ნიუ იორკ რეინჯერსში", თუმცა იქ განსაკუთრებული წარმატებებისთვის არ მიუღწევია.

ამის შემდეგ იაგრმა სამი სეზონი ითამაშა რუსეთის „ავანგარდში". ამავე გუნდში ირიცხებოდა ის 2004-05 წლების სეზონში, როცა NHL-ში ლოკაუტის გამო ჩემპიონატი გაუქმდა. „ავანგარდში" მან ჯამში 224 მატჩი ჩაატარა და 217 ქულა (93+124) დააგროვა. წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ ომსკურმა კლუბმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა იარომირს, მაგრამ მან ამერიკაში გამგზავრება არჩია.

არანაკლებ ბრწყინვალე კარიერა აქვს იაგრს ჩეხეთის ნაკრებში, რომლის რიგებში დებიუტი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ჰქონდა. 1998 წელს ის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 2005 და 2010 წლებში - მსოფლიოს ჩემპიონი. წელს კი პლანეტის პირველობაზე ხუთი შაიბა გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ფორვარდად დაასახელეს.

დავამატებთ იმას, რომ იაგრზე პრეტენზიას „დეტროიტ რედ უინგზიც" აცხადებდა. იყო ერთი ეგზოტიკური ვარიანტიც: მშობლიური ქალაქის კლუბ „კლადნოში" დაბრუნება. ამ გუნდის პრეზიდენტი იარომირის მამა გახლავთ.

კარიამ კარიერა დაასრულა

თუ **იარომირ იაგრი** ჯერ არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას, ჰოკეის ეროვნული ლიგის კიდევ ერთმა ცნობილმა ფორვარდმა **პოლ კარიამ** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

36 წლის კარიამ ტვინის უმძიმესი შერყევის გამო მთლიანად გამოტოვა შარშანდელი სეზონი. მას იმედი ჰქონდა, რომ 2011-12 წლების ჩემპიონატისთვის ჩადგებოდა მწყობრში, მაგრამ საბოლოოდ რისკზე წასვლა არ ისურვა და კარიერა შეწყვიტა. მისი თქმით, ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებდა, თუმცა ტვინის შერყევის რამდენიმე შემთხვევის გამო მაინც შიშობს საკუთარი ჯანმრთელობის გამო.

პოლ კარია 1993 წელს „ანაჰაიმმა" დრაფტში მეოთხე ნომრად აიყვანა. ფორვარდმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 15 სეზონი ჩაატარა. თამაშობდა „ანაჰაიმის", „კოლორადოს", „ნეშვილისა" და „სენტ ლუისის" შემადგენლობაში. რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ მატჩში ზუსტად ერთ ქულას აგროვებდა - 989 მატჩი და 989 ქულა (402+587), პლეი ოფში მისი მონაგარი იყო - 46 მატჩი, 39 ქულა (16+23).

2002 წელს კარია კანადის ნაკრების შემადგენლობაში სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

მორიგი ინფორმაცია NHL-ის კიდევ ერთი ვეტერანის შესახებ. „ტამპა ბეის" გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** გამოაცხადა, რომ კლუბმა მიაღწია შეთანხმებას მეკარე **დუეინ როლოსონთან**, რომელიც „ლაითნინგის" რიგებში კიდევ ერთი წელი დარჩება.

პოლ კარია

41 წლის ვეტერანის ხელფასი 3 მილიონი დოლარი იქნება. როლოსონი „ტამპაში" გასული სეზონის მსვლელობისას გადავიდა და კლუბს სტენლის თასზე აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალამდე მიღწევაში დაეხმარა.

გოლფი

ვუდსს რეკლამა ეღირსა

ლეგენდარულმა ამერიკელმა გოლფისტმა **ტაიგერ ვუდსმა** სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა იაპონულ კომპანია Vantelin Kowa-სთან, რომელიც ტკივილგამაყუჩებელ წამლებს აწარმოებს. ამის შესახებ ინფორმაციას CNBC ავრცელებს.

ტაიგერ ვუდსი

ვუდსის სარეკლამო კონტრაქტებში გასაკვირი არაფერია - სწორედ ასეთი ხელშეკრულებების წყალობით გახდა ტაიგერი პირველი სპორტსმენი ისტორიაში, რომლის შემოსავალმაც მილიარდ დოლარს გადააჭარბა. უბრალოდ, ეს ინფორმაცია იმით არის საინტერესო, რომ ეს არის ამერიკელის პირველი სარეკლამო კონტრაქტი 2009 წელს მომხდარი სექსუალური სკანდალის შემდეგ. მაშინ ყვითელ პრესაში ამოტივტივდა რამდენიმე ქალბატონის აღიარება იმის შესახებ, რომ ტაიგერი მათთან მეუღლეს ღალატობდა. ამის შემდეგ ვუდსს ცოლი გაექცა და ამას მოჰყვა რამდენიმე კომპანიასთან სარეკლამო კონტრაქტის განყვეტა. ამასთან, ვუდსმა სპორტული ფორმაც დაკარგა და იმ ცნობილი სკანდალის შემდეგ არც ერთი ტურნირი არ მოუგია.

Vantelin Kowa-სთან გაფორმებული კონტრაქტი სამწლიანია. ჰონორარის შესახებ ჟურნალისტებმა ვერაფერი გაარკვიეს. ვუდსმა უკვე მიიღო მონაწილეობა იაპონური ბრენდის სარეკლამო რგოლის გადაღებებში.

2009 წლამდე ვუდსს სარეკლამო კონტრაქტები ჰქონდა რამდენიმე კომპანიასთან - Nike-თან, Gilette-თან, Accenture-თან, AT&T-თან და Gatorade-თან. ყოველწლიურად მარტო ამ ხელშეკრულებებით ტაიგერი წელიწადში დაახლოებით 90 მილიონ დოლარს იღებდა.

სხვათა შორის, 2010 წლის შედეგების მიხედვით, ტაიგერ ვუდსი ცნობილ ადამიანებს შორის ყველაზე არაეფექტურ სარეკლამო სახედ მონათლეს.

ცხელი ხაზი

ფუტბური

ევროპის ლიგა

I საკვ. ეტაპი. I მატჩები

აზალ-ვინსკი	1:1
ბანგა-ყარაბახი	0:4
ტრანს ნარვა-რაბოტნიჩკი	1:4
რადი-ტრე პენე	6:0
ელფსბორგი-ფოლა	4:0
დაუგავა-ტრომსიო	0:5
ჰონკა-კალიუ	0:0
ოლესუნდი-ნითი	4:1
ფერენცვაროში-ულისესი	3:0
ტრნავა-ზეტა	3:0
სანტა კოლომა-პაკსი	0:1
ვარტექსი-ლუსიტანოსი	5:1
ფუგლაფიორდური-რეიკიავიკი	1:3
კაერიენგი-ჰაკენი	1:1
ტნს-კლიფტონვილი	1:1
ვესტმანაიეარი-სტ. პატსი	1:0
ბირკირკარა-ვლაჟნია	0:1
ფულჰემი-რუნავიკი	3:0
იაგელონია-ირტიში	1:0
რეიოვა-ბლენტორანი	2:1
კოპერი-შახტიორი (ს)	1:1
შიროკი ბრიეგი-ოლიმპია	0:0
გუდუჩნოსტი-ფლამურტარი	1:3

მს. ჩემპიონატი

ქალები

კანადა-საფრანგეთი	0:4
გერმანია-ნიგერია	1:0

UNDER 17

ინგლისი-არგენტინა	1:1 პენ. 4:2
გერმანია-აშშ	4:0

ამხანაგური მატჩები

ჰელსინგბორგი-კოპენჰაგენი	0:0
ალემანია-მუნსტერი	0:0
ოლბორგი-ოდენსე	2:1
ფიურტი-ბორუსია (მ)	2:1
კაპფენბერგი-იაბლონეცი	1:2
ბრეჩინი-აბერდინი	1:3

ნორვეგია

ბრანი-ოდ გრენლანდი	2:0
ვიკინგი-სარპსბორგი	2:2

ფინეთი

ტურკუ-ჰაკა	1:2

ინლანდია

კეფლავიკი-ვალური	0:2

არგენტინა

გადათამაშება

ხიმნასია (ლ.-ვ)-სან მარტინი	1:1

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

ლატვია-ხორვატია	75:84
ჩერნოგორია-თურქეთი	44:56
საფრანგეთი-ლიტვა	66:58

TV პროგრამა

1 ივლისი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2007. ბრაზილია-ეკვადორი.
12:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-მექსიკა.
14:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
16:00 სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
18:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო.
19:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
21:00 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატლეტიკო მინეირო.
01:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:15 კოპა ამერიკა 2007. ბრაზილია-ეკვადორი.
03:30 კოპა ამერიკა 2011. საზეიმო გახსნა. არგენტინა (LIVE).
04:45 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა - ბოლივია. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-პალმეირასი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-ვალენსია.
13:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. კაცები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-ვალენსია.
23:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

03:30 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ბოლივია. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2011-12 წლების სეზონის ნილისყრა. ავსტრია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ვიგანი-ლიდსი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

15:55 უიმბლდონი. კაცები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩეხეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

SPORT+

15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩეხეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

EUROSPORT

17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-მექსიკა. გერმანია (LIVE).
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-ინგლისი. გერმანია (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
16:30 ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

ამბები

ოლიმპიზმი

მიუნხენი იმედიანადაა

ქვეყნის მთავრობისგან მხარდაჭერის მიღების შემდეგ მიუნხენს 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კარგი შანსი გაუჩნდა.

ამ ეტაპზე ექსპერტები ბავარიის დედაქალაქს მეორე ადგილს ანიჭებენ საარჩევნო კამპანიაში, მესამეზეა ფრანგული ანსი, ხოლო ფავორიტად მიიჩნევა ჩრდილოეთ კორეის პიონჩანგი, რომლისთვისაც ეს „თეთრი" ოლიმპიადის მიღების ზედიზედ მესამე ცდაა. წინა ორ შემთხვევაში ის ტურნისთან და ვანკუვერთან დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ თუ მიუნხენი გაიმარჯვებს, ის გახდება პირველი ქალაქი ისტორიაში, ვისაც ზაფხულისა და ზამთრის თამაშებისთვის ექნება გაწეული ორგანიზება.

2018 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 6 ივლისს სამხრეთ აფრიკაში აირჩევს.

ცურვა

ჩემპიონი ცუდად დაბრუნდა

წარუმატებელი აღმოჩნდა დიდ სპორტში დაბრუნება სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისთვის, ავსტრალიელ **ლიზბეტ ტრიკეტისთვის**. მან საჭირო ნორმატივი ვერ შეასრულა ავსტრალიის ჩემპიონატში და შესაბამისად, ვერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.

ავსტრალიელი მოცურავე 2009 წლის აგვისტოდან არ მონაწილეობდა ოფიციალურ ტურნირებში, რადგან კარიერა დაასრულა. მაგრამ ცხრა თვის წინ დაბრუნება გადაწყვიტა - ტრიკეტს დაგეგმილი ჰქონდა თავისუფალი სტილით 4x100 მეტრზე ესტაფეტის შემადგენლობაში მოხვედრა, მაგრამ ქვეყნის პირველობაზე 100 მეტრზე მეექვსე შედეგი აჩვენა - 55,68 წამი, არადა, დისტანცია 54,99 წამში უნდა გაეცურა.

ტრიკეტი ბრძოლისთვის თავის დანებებას არ აპირებს და ახლა ლონდონის ოლიმპიადის საგზურისთვის დაიწყებს ზრუნვას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ავტოსპორტი

ვალენტინო როსი

რედ ბულლი წამებს კარგავს

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბრიტანეთის გრან-პრიდან მოყოლებული აიკრძალება ე.წ. „ღია“ დიფუზორების“ გამოყენება. რბოლა სილვერსტოუნში 10 ივლისს გაიმართება.

ამის შემდეგ კონსტრუქტორთა თასის ლიდერის - „რედ ბულის“ ინჟინრებმა გამოთვალეს, რომ ამ წესის შემოღების შედეგად ავსტრიული საჯინიბოს ბოლიდი ყოველ წრეზე დაახლოებით ნახევარ წამს დაკარგავს.

აღსანიშნავია, რომ სხვა გუნდებმაც დაადასტურეს - ეს სიახლე მათ შედეგებზეც უარყოფითად აისახება. ასე რომ, სავარაუდოდ, ფორმულა 1-ის პელოტონში ძალთა თანაფარდობა დიდად არ შეიცვლება.

სარგებლო უქმეები

მომავალ უქმეებზე ფორმულა 1-ის ეტაპი არ იმართება, მაგრამ ავტომოტოციკლეტებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

მოტოგრან-პრის ჩემპიონატის მონაწილეები მერვე ეტაპს იტალიის მუჯელოში გამართავენ, სადაც, როგორც ცნობილია, გულშემატკივრები ვალენტინო როსის აღმერთებენ. გარდა ამისა, მძიმე ტრავმის შემდეგ ჩემპიონატს უბრუნდება **დანი პედროსა,** რომელიც სპორტული ფორმის სწრაფად დაბრუნებას იმედოვნებს. მოქმედი ჩემპიონი **ხორხე ლორენსო** კი შეეცდება კიდევ ერთხელ გაუმართოს ბრძოლა ჩემპიონატის ლიდერ **კეისი სტოუნერს.**

DTM-ის ჩეპიონატი კი თავის ეკვატორს უახლოვდება. მეხუთე ეტაპი „ნორისრინგზე“ გაიმართება და **მარტინ ტომჩიკი ბრუნო სპენგლერთან** ერთად შეეცდება გაარკვიოს რომელის მარკაა უფრო სწრაფი და საიმედო - „აუდი“ თუ „მერსედესი“?

მოტოგრანპრი

იტალიის გრანპრი

ჩატარების ადგილი - მუჯელო, იტალია
წრის სიგრძე - 5 245 მ
რეკორდი წრეზე – 1:49,531 (დანი პედროსა, 2010)

საერთო ჩათვლა

1. კეისი სტოუნერი (Honda) - 136
2. ხორხე ლორენსო (Yamaha) - 108
3. ანდრეა დოვიციოზო (Honda) - 99
4. ვალენტინო როსი (Ducati) - 81
5. ნიკი ჰეიდენი (Ducati) - 71
6. დანი პედროსა (Honda) - 61
7. ბენ სპისი (Yamaha) - 61
8. ჰიროში აოიამა (Honda) - 51

განრიგი

1 ივლისი, 12:10 - I პრაქტიკა
1 ივლისი, 14:10 - II პრაქტიკა
2 ივლისი, 12:10 - III პრაქტიკა
2 ივლისი, 15:55 - კვალიფიკაცია
3 ივლისი, 11:40 - warm up
3 ივლისი, 16:00 - რბოლა

DTM

V ეტაპი

ჩატარების ადგილი - ნორისრინგი, გერმანია
წრის სიგრძე - 2 300 მ
რეკორდი წრეზე - 0:48,446 (ბრუნო შპენგლერი, 2008)

საერთო ჩათვლა

1. მარტინ ტომჩიკი (Audi) - 30
2. ბრუნო შპენგლერი (Mercedes) - 29
3. ტიმო შაიდერი (Audi) - 19
4. მაიკ როჰენფელერი (Audi) - 14
5. რალფ შუმახერი (Mercedes) - 14
6. ჯეიმი გრინი (Mercedes) - 13

განრიგი

2 ივლისი, 14:10 - კვალიფიკაცია
3 ივლისი, 15:03 - რბოლა

● ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. 1/2 ფინალი

ასეთი მარია დიდი ხანია არ გვინახავს

მარია შარაპოვა

გუშინ, უიმბლდონზე ქალებს შორის ფინალისტები ირკვეოდნენ. პირველები ცენტრალურ კორტზე ჩეხი **პეტრა კვიტოვა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** გავიდნენ. მათი ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 2:2 იყო, თანაც სათამაშო კლასი თანაბარი აქვთ, რის გამოც ამ ნახევარფინალში დაძაბულ სამსეტიან ბრძოლას წინასწარმეტყველებდნენ.

კვიტოვა გასულ წელსაც თამაშობდა უიმბლდონის ნახევარფინალში. ასე რომ, მან გაიმეორა შარშანდელი შედეგი, აზარენკამ კი, როგორც იქნა, გატეხა ნავსი და კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირის ნახევარფინალში. მანამდე ის ამ დონის ჩემპიონატებში ზედიზედ ოთხჯერ მარცხდებოდა მეოთხედფინალურ ეტაპზე.

თანაბარი კლასის მეტოქეთა მატჩში პირველი სეტი აზარენკამ საშინლად ჩაატარა. მან მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო საკუთარ მოწოდებაზე. 1:1-ის შემდეგ კვიტოვამ ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და სეტი 27 წუთში დაასრულა - 6:1.

მეორე პარტიაში აზარენკამ შეძლო რევანშის აღება. ბელარუსმა იპოვა თავისი თამაში და სტაბილურობითაც გამოირჩეოდა. ვიქტორიამ დამაჯერებლად აიღო სასტარტო სამი გეიმი, რის შემდეგაც კვიტოვას გააქტიურების ჯერი დადგა, მაგრამ თავდაცვაზე გადასულმა აზარენკამ შეინარჩუნა ბრეიკით მოპოვებული უპირატესობა და სეტი 6:3 მოიგო.

გადამწყვეტი პარტია უკეთ ჩეხმა ჩოგბურთელმა დაიწყო, რომელმაც ბრეიკი გააკეთა და სასტარტო სამი გეიმი აიღო. მეხუთე გეიმში ვიქტორიას ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა მეტოქეს არ მისცა ამ შანსის გამოყენების საშუალება. ბელარუსს მატჩის გადარჩენის შესაძლებლობა აღარ ჰქონია, კვიტოვა დამაჯერებლად ინარჩუნებდა უპირატესობას, წერტილი კი შეხვედრას ბოლო გეიმში გაკეთებული ბრეიკით დაუსვა.

კვიტოვა პირველად ითამაშებს „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში. ცნობისთვის, მან შარშანდელ გათამაშებაშიც მოუგო აზარენკას, თუმცა მაშინ 62-ე ჩოგანი იყო და მისი ყველა მოგება სენსაციად აღიქმებოდა. პეტრა უიმბლდონის პირველი ცაცია ფინალისტია 1994 წლის შემდეგ, როცა ლეგენდარულმა ამერიკელმა **მარტინა ნავრატილოვამ** გააღწია გადამწყვეტ მატჩში. სხვათა შორის, წარმოშობით ჩეხი ნავრატილოვა ამ შეხვედრას ესწრებოდა და თანამემამულეს გულშემატკივრობდა.

„მოხარული ვარ, რომ მესამე სეტში მოწოდება გამომდიოდა. ბალახი ჩემი საყვარელი საფარია, - ამბობდა მატჩის შემდეგ გამარჯვებული. - *ტრიბუნების ქვეშ ნავრატილოვას შევხვდი. მან კარგი თამაში მომილოცა და ფინალშიც წარმატება მისურვა. კარგია, რომ მასთან ურთიერთობის საშუალება მომეცა“.*

1998 წლის შემდეგ ჩეხი ჩოგბურთელი პირველად გავიდა ფინალში. 13 წლის წინ ასეთი შედეგი ჰქონდა **იანა ნოვოტნას**, რომელმაც მაშინ მთავარი პრიზის მოგება შეძლო.

■ ■ ■

ამ შედეგის გასამეორებლად კვიტოვას ფინალში **მარია შარაპოვას** დამარცხება მოუწევს. რუსი ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება - დიდი ხანია, მარიასგან ასეთი თამაში არ გვინახავს.

2004 წლის ჩემპიონი გუშინ გერმანელ **საბინ ლისიცკის** ხვდებოდა და ძალიან ცუდად დაიწყო თამაში. ლისიცკიმ ბრეიკით დაწინაურება მოახერხა და 3:0 წაიყვანა ანგარიში. შარაპოვამ თავისი გეიმი „მშრალი“ ანგარიშით წააგო, შემდეგ კინაღამ მეორედ აჩუქა საკუთარი მოწოდება მეტოქეს - 40:15-ს იგებდა, მაგრამ ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუნია. საბოლოოდ, ეს გეიმი რუსმა მოიგო და გაქვითა ანგარიში - 1:3.

ამის შემდეგ მატჩის სურათი მთლიანად შეიცვალა. შარაპოვამ უკუბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა - 3:3. პარტიის ბედი მეცხრე გეიმში გადაწყდა, როცა რუსმა ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, შემდეგ კი დამაჯერებლად ჩაწოდა სეტზე - 6:4.

მეორე სეტში მარიამ საბოლოოდ დაწესა მატჩზე კონტროლი. ახლა უკვე ის დაწინაურდა 3:0, თანაც აქედან ორჯერ ბრეიკი გააკეთა. როგორც ჩანს, ამ წარმატებამ ოდნავ მოადუნა შარაპოვას ყურადღება და იქვე მან საკუთარი გეიმი წააგო - 1:3, თუმცა ძალიან მალე მოეგო გონს და აღადგინა სამგეიმიანი უპირატესობა. ლისიცკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და პრაქტიკულად ყველა გეიმში ბრძოლას უმართავდა მეტოქეს. ასე იყო მეექვსე გეიმში, როცა შარაპოვას ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია და მეოთხე ცდაზე გამოიყენა გეიმბოლი - 5:1.

ლისიცკის გააქტიურებამ ის მოიტანა, რომ სეტში ანგარიში ორ გეიმამდე შემცირდა - 3:5, მაგრამ ეს გერმანელის ბოლო წარმატება იყო. მე-9 გეიმში მარიამ პირველივე ცდაზე გამოიყენა მატჩბოლი - 6:3.

ბოლოს შარაპოვამ „დიდი სლემის“ ტურნირზე 2008 წელს ითამაშა, როცა ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. მის კოლექციაშია აგრეთვე ამერიკის ღიაზე გამარჯვება 2006 წელს და უიმბლდონზე - 2004 წელს. ეს იქნება მისი მეხუთე ფინალი „დიდ სლემზე“ (ერთადერთი წაგება გადამწყვეტ მატჩში 2007 წელს ავსტრალიის ღიაზე ჰქონდა).

შარაპოვა და კვიტოვა აქამდე ერთადერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს: შარშან მემფისის ტურნირის ნახევარფინალში მარიამ 6:4, 6:3 მოიგო.

ქალები

1/2 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 5)-საბინ ლისიცკი (გერ) 6:4, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4) 6:1, 3:6, 6:2.

ტომიჩმა ტრიუმფი დაგეგმა

ბერნარდ ტომიჩი

წლევანდელი უიმბლდონის მთავარმა აღმოჩენამ, 18 წლის **ბერნარდ ტომიჩმა** კომენტარი მისცა მეოთხედფინალში სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** მარცხს, აგრეთვე შეაჯამა სეზონში „დიდი სლემის“ მესამე ტურნირზე საკუთარი გამოსვლა.

„ვფიქრობ, უნდა ვიამაყო ჩემი თამაშით. ნოვაკი - ბრწყინვალე ჩოგბურთელია და მასთან თამაშში საკუთარი ძალების სრულად დახარჯვამ მომიწია, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. ამ ეტაპზე ის საუკეთესო ჩოგბურთელია.

რთული სათქმელია, მე წავაგე ეს მეოთხედფინალი თუ მეტოქემ მოიგო შეხვედრა. მესამე პარტიაში ბრეიკით ვიყავი წინ - 3:1 და იმ მომენტში გავიფიქრე, რომ გამარჯვების რეალური შანსი მქონდა. შესაძლოა, რაღაც გამომრჩა, უფრო აგრესიულად ვერ ვითამაშე, რომ საბოლოოდ მომეღო ბოლოს მეტოქისთვის.

როცა ისეთ ჩოგბურთს აჩვენებ, როგორიც მე ვითამაშე ამ უიმბლდონზე, უკვე აღარ იცი, რა მიზნები დაუსახო საკუთარ თავს. ახლა, პირველ რიგში, ცოტა უნდა დავისვენო. კარგია, რომ ამ უიმბლდონის შემდეგ საუკეთესო 80 ჩოგბურთელს შორის მოვხვდები. რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებ თამაშის სრულყოფას. ვგრძნობ, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ შევძლებ „დიდი სლემის“ ტურნირის მოგებას.

დავრწმუნდი, რომ შემიძლია თანაბრად ვებრძოლო საუკეთესო მოთამაშეებს. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად საკმარისად ძლიერი ვარ იმისთვის, რომ შორეულ ეტაპებზე ხუთსეტიან ბრძოლებში მივიღო მონაწილეობა. ადრე თუ გვიან აუცილებლად დავამარცხებ ნოვაკს, რაფას ან როჯერს, მაგრამ იქამდე მისაღწევად ძალიან ბევრი სამუშაო დამჭირდება“, - ამბობს ტომიჩი უიმბლდონის ოფიციალურ ვებგვერდზე კომენტარისას.

● უიმბლდონზე წყალი ჩადის

ორგანიზატორები მეორე კორტის გადახურვას აპირებენ

უიმბლდონის ორგანიზატორები საჩოგბურთო კომპლექსის „ნომერ პირველ“ კორტზე (სიდიდით მეორე) მოძრავი სახურავის დამონტაჟების შესაძლებლობას განიხილავენ.

სამშაბათს წვიმამ კვლავ შეუშალა ხელი მატჩების გამართვას. შეხვედრები მხოლოდ ცენტრალურ კორტზე ჩატარდა, რომელსაც მოძრავი სახურავი აქვს - მისი ღირებულება 80 მილიონ ფუნტს შეადგენს. სახურავი 2009 წელს აშენდა და სამშაბათს ის მეშვიდედ აამოქმედეს. უამინდობა იმ დღეს 41 მატჩის გადადების მიზეზი გახდა. სწორედ ამის შემდეგ დაფიქრდნენ ტურნირის ორგანიზატორები მნიშვნელობითა და სიდიდით მეორე კორტზე სახურავის დამონტაჟებაზე.

თუმცა „ნომერ პირველი“ კორტის შესაბამისი რეკონსტრუქცია უახლოეს მომავალში ვერ დაიწყება. საქმე ისაა, რომ 2012 წელს უიმბლდონის კორტებზე ოლიმპიური ტურნირი გაიმართება და მის დაწყებამდე სახურავის მშენებლობის დასრულება შეუძლებელი იქნება. შეგახსენებთ, რომ ცენტრალურ კორტზე სახურავს სამი წლის განმავლობაში ამონტაჟებდნენ.

„ოლიმპიური თამაშების გამო მშენებლობა მომავალ წელს არ დაიწყება, ამიტომაც გვაქვს დრო დავფიქრდეთ უკვე ჩატარებულ სამუშაოებზე და გავარკვიოთ, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ მომავალი 10-15 წლის განმავლობაში“, - განაცხადა უიმბლდონის კლუბის წარმომადგენელმა.

სახურავი ცენტრალურ კორტზე ნამდვილი მისწრებაა ტელეკომპანიებისთვის, რადგან მისი მეშვეობით მატჩის ტრანსლირება ნებისმიერ დროსა და ამინდშია შესაძლებელი. სახურავის დამონტაჟებამდე ყველაზე გვიანი მატჩები 21 საათსა და 17 წუთზე სრულდებოდა, შარშან კი პირველ წრეში **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ოლივიე რობუსის** მატჩი 22 საათსა და 59 წუთზე დამთავრდა.

თუმცა ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავი მთლად კომფორტულად ვერ ემსახურება მაყურებელს. სამშაბათს სამ ადგილას გაჟონა წვიმამ და ორგანიზატორებს რამდენიმე ადამიანისთვის ტრიბუნაზე ახალი ადგილის ძებნამ მოუწიათ. მომხდართან დაკავშირებით უიმბლდონის ხელმძღვანელობა გამოძიების დაწყებას აპირებს.

„რთული სათქმელია როდის შეაკეთებენ სახურავს, რადგან ტექნიკურ პერსონალს ამის გაკეთება მაშინ შეუძლია, როცა ის არ მოქმედებს, -ამბობს ტურნირის პრესატაშე. - *რემონტი პირველი შესაძლებლობისთანავე დაიწყება“.*


სიდიდით მეორე კორტი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა